

ცნს-ზე მოქმედი საშუალებები

\\\\ ანქსიოლიზურ საშუალებებს მიეკუთვნება:

- \\ ბენზოდიაზეპინები;
- \\ ბარბიტურატები;
- \\ ეთანოლი;
- \\ ფენოთიაზინები.

\\\\ ბენზოდიაზეპინებს მიეკუთვნება:

- \\ ზოპიკლონი;
- \\ ქლორალჰიდრატ;
- \\ ქლორმეტიაზოლი;
- \\ დიაზეპამი

\\\\ ხანმოკლე მოქმედების ბენზოდიაზეპინებს მიეკუთვნება:

- \\ ნიტრაზეპამი;
- \\ ტრიაზოლამი.
- \\ ფლურაზეპამი;
- \\ კლორაზეპატი;

\\\\ ხანგრძლივი მოქმედების ბენზოდიაზეპინებს მიეკუთვნება:

- \\ ტრიაზოლამი;
- \\ ტემაზეპამი;
- \\ ნიტრაზეპამი.
- \\ ლორაზეპამი;

\\\\ ციკლოპროლინის ნაწარმია:

- \\ ალპრაზოლამი;
- \\ ქლორდიაზეპოქსიდი;
- \\ ფლურაზეპამი;
- \\ ზოპიკლონი;

\\\\ ქვემოთ ჩამოთვლილი ეფექტებიდან რომელი არ არის დამახასიათებელი ანქსიოლიზური საშუალებებისთვის?

- \\ ნეიროლეფსიური;
- \\ განგაშის საწინააღმდეგო;
- \\ ფობიის საწინააღმდეგო;
- \\ მიორელაქსაციური;

\\\\ ქვემოთ ჩამოთვლილი ეფექტებიდან რომელია ძირითადად დამახასიათებელი ანქსიოლიზური საშუალებების დიდ დოზებში გამოყენებისას?

- \\ ნეიროლეფსიური;
- \\ საძილე;
- \\ ანტიპარკინოსული;
- \\ დეპრესიის საწინააღმდეგო.

\\\\ ქვემოთ ჩამოთვლილი პრეპარატებიდან რომელი მიეკუთვნება ბარბიტურის მჟავას ნაწარმებს?

- \\ ფენობარბიტალი;
- \\ ზოპიკლონი;
- \\ ფლურაზეპამი;
- \\ დიაზეპამი;

\\\\ ბენზოდიაზეპინების მოქმედების მექანიზმია:

- \\ აძლიერებენ გამაამინოერბოს მჟავათი (გაემ) განპირობებულ შეკავებას ცნს-ში;
- \\ ხელს უწყობენ ცნს-ში გლუტამინის მჟავას დაგროვებას;
- \\ ცნს-ში აძლიერებენ ასპარტატის მოქმედებას;
- \\ აბლოკირებენ გლიცინის რეცეპტორებს.

\\\\ ბენზოდიაზეპინები:

- \\ ხელს უწყობენ გაემ-ის (გამაამინოერბოს მჟავა) გამონთავისუფლებას ნერვული დაბოლოებებიდან და მის გაემA-რეცეპტორებთან შეკავშირებას;

- III ხელს უწყობენ ნერვული დაბოლოებებიდან გლუტამატის გამონთავისუფლებას და გლუტამატ-რეცეპტორების აქტივაციას;
- III აბლოკირებენ Ca^{2+} -ის ნელ არხებს.
- III გლუტამატ-რეცეპტორზე ზემოქმედებით აძლიერებენ გაემ-ის მოქმედებას;
- III ბენზოდიაზეპინები:
 - II ბენზოდიაზეპინურ რეცეპტორზე ზემოქმედებით იწვევენ გაემ-რეცეპტორების კონფორმაციულ ცვლილებებს;
 - III ბარბიტურატულ რეცეპტორზე ზეგაველით აძლიერებენ გაემ-ის (გამაამინოერბოს მჟავა) მოქმედებას;
 - III გლუტამატ-რეცეპტორზე ზემოქმედებით აძლიერებენ გაემ-ის მოქმედებას;
 - III გლიცინურ რეცეპტორებზე ზემოქმედებით ამცირებენ აგზნებით პროცესებს ცნს-ში.
- III ბენზოდიაზეპინები ცნს-ში აძლიერებენ შეკავებით პროცესებს:
 - II გაემ_A (გამაამინოერბოს მჟავა) რეცეპტორების აქტივაციით და Cl^{-} -ის იონების მიმართ მემბრანის განვლადობის გაზრდით;
 - III გაემ_A რეცეპტორების აქტივაციით და Mg^{2+} -ის იონების მიმართ მემბრანის განვლადობის გაზრდით;
 - III ბარბიტურატის რეცეპტორების აქტივაციით და Cl^{-} -ის იონების მიმართ მემბრანის განვლადობის გაზრდით;
 - III გლუტამატ რეცეპტორების აქტივაციით და Cl^{-} -ის იონების მიმართ მემბრანის განვლადობის გაზრდით.
- III შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:
 - III მეთანოლი ეთანოლთან შედარებით ნაკლებად ტოქსიკურია;
 - II მეთანოლით ინტოქსიკაციის მნიშვნელოვანი ადრეული სიმპტომია მხედველობის დარღვევა;
 - III მეთანოლით მოწამვლისას საჭიროა ალკოჰოლდეჰიდროგენაზას აქტივაცია;
 - III მეთანოლით მოწამვლისას ადგილი აქვს რესპირატორულ ალკალოზს;
- III ქვემოთ ჩამოთვლილი მტკიცებულებებიდან რომელია სწორი?
 - II გაემ-ის (გამაამინოერბოს მჟავა) არ არსებობის შემთხვევაში ბენზოდიაზეპინები და ბარბიტურატები მცირე დოზებში არ ცვლიან მემბრანის განვლადობას Cl^{-} -ის იონების მიმართ;
 - III გაემ-ის არ არსებობის შემთხვევაში ბენზოდიაზეპინები და ბარბიტურატები მცირე დოზებში ჩვეულებრივ მოქმედებენ მემბრანის განვლადობაზე Cl^{-} -ის იონების მიმართ;
 - III ბარბიტურატები აძლიერებენ ცნს-ში გაემ-დამოკიდებულ შეკავებით პროცესებს Cl^{-} -ის იონების გახსნილი არხების რაოდენობის გაზრდით;
 - III ბენზოდიაზეპინები აძლიერებენ ცნს-ში გაემ-დამოკიდებულ შეკავებით პროცესებს გახსნილ მდგომარეობაში მყოფი Cl^{-} -ის იონების არხების ხანგრძლივობის გაზრდით.
- III ქვემოთ მოყვანილი მდგომარეობებიდან როდის არ გამოიყენება ბენზოდიაზეპინები და საძილე საშუალებები?
 - III ეპილეფსიის და სხვა კონვულსიური მდგომარეობის მკურნალობა;
 - III ბალანსირებული ანესთეზიის კომპონენტად ინტრავენური შეყვანისას;
 - III ნერვ-კუნთოვანი დაავადებებისას მიორელაქსაციის მიზნით;
 - II ანტიპარკინსონული საშუალებების ეფექტის პოტენცირებისათვის.
- III შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:
 - II ანქსიოლიზური საშუალებების ტრანკვილიზური და საძილე მოქმედება რეალიზდება გაემ_A (გამაამინოერბოს მჟავა) რეცეპტორების აქტივაციით;
 - III გაემ_A-რეცეპტორი მიეკუთვნება G-პროტეინებთან დაკავშირებულ რეცეპტორს;
 - III გაემ-რეცეპტორი ტრიმერს წარმოადგენს და იგი შედგება სამი სუბერთეულისაგან;
 - III გაემ-რეცეპტორი მუსკარინული ქოლინორეცეპტორის მსგავსია.
- III ქვემოთ ჩამოთვლილი მტკიცებულებებიდან რომელი არ არის სწორი?
 - III გაემ-რეცეპტორი მიეკუთვნება იონურ არხებთან დაკავშირებულ რეცეპტორს;
 - III გაემ-რეცეპტორი პენტამერია და იგი შედგება 2 ალფა (ალფა₁), 2-ბეტა (ბეტა₁) და გამა (გამა₂) სუბერთეულისაგან;
 - III გაემ-ის მიერ ალფა და ბეტა სუბერთეულების სტიმულაცია ხელს უწყობს მემბრანის Cl^{-} -ის იონების განვლადობის მომატებას და მის ჰიპერპოლარიზაციას;
 - II გაემ-რეცეპტორი რეცეპტორთა იგივე ჯგუფს მიეკუთვნება, რასაც ინსულინის რეცეპტორი.
- III შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:
 - II ფლუმაზენილი ბენზოდიაზეპინების კონკურენტული ანტაგონისტია;
 - III ფლუმაზენილი ხანგრძლივი მოქმედებით ხასიათდება;
 - III ბარბიტურატები ბენზოდიაზეპინებისგან განსხვავებით ნაკლებად თრგუნავენ ცნს-ას;
 - III ფლუმაზენილი გამოიყენება ბარბიტურატების ჭარბი დოზირების დროს.

- //// ბარბიტურატები:
- /// ამჟამად ფართოდ გამოიყენება სედაციური და საძილე საშუალებების სახით;
- /// მათი გამოყენება არ ხასიათდება მათ მიმართ ფსიქიკური და ფიზიკური დამოკიდებულების განვითარებით;
- /// ბარბიტურატებით მოწამვლა ნაკლებად საშიშია, ვიდრე ბენზოდიაზეპინებით;
- \\ ბარბიტურატები იწვევენ ღვიძლის მიკროსომული ფერმენტების ინდუქციას.

- //// შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:
- /// ბენზოდიაზეპინები ღვიძლში ექვემდებარებიან მეტაბოლიზმს დაქანგვის გზით და იწვევენ ღვიძლის მიკროსომული ფერმენტების ინდუქციას;
- /// ბენზოდიაზეპინების პერორული მიღება იწვევს სუნთქვის გამოხატულ დათრგუნვას;
- \\ ბენზოდიაზეპინების ინტრავენურმა შეყვანამ შეიძლება გამოიწვიოს სუნთქვის დათრგუნვა, განსაკუთრებით ბრონქო-პულმონური დაავადების მქონე პაციენტებში;
- /// ბარბიტურატებთან ერთად დანიშნისას გაემ-რეცეპტორების მიმართ კონკურენციის გზით ბენზოდიაზეპინები აქვეითებენ ბარბიტურატების ეფექტს.

- //// ბენზოდიაზეპინები:
- \\ მათი ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში მიღებისას პრეპარატის უეცარ მოხსნას შეიძლება თან ახლდეს განგაშის შეგრძნება, დეპრესია, უძილობა, გულისრევა;
- /// ამცირებენ ბარბიტურატების ეფექტებს;
- /// ამცირებენ ალკოჰოლისა და ანტიბიოსტამინური საშუალებების ეფექტს;
- /// ინტრავენურად შეყვანისას არ ხასიათდებიან ამნეზიური ეფექტით.

- //// შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:
- /// ბენზოდიაზეპინები არ უკავშირდებიან პლაზმის ცილებს;
- /// ბენზოდიაზეპინები უცვლელი სახით გამოიყოფიან თირკმლების მეშვეობით;
- \\ ბენზოდიაზეპინების უმრავლესობა ღვიძლში ექვემდებარება მიკროსომულ დაქანგვას
- /// ბენზოდიაზეპინების მეტაბოლიტები როგორც წესი, არააქტიური ნივთიერებებია.

- //// შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:
- /// ბენზოდიაზეპინები საერთოდ არ ხასიათდებიან კუმულაციური ეფექტით;
- \\ ხანდაზმულ ან ღვიძლის დაქვეითებული ფუნქციის მქონე პაციენტებში საჭიროა ბენზოდიაზეპინების დოზის შემცირება;
- /// ბენზოდიაზეპინების უეცარი მოხსნისას განვითარებული უკუგების ფენომენი (კოშმარული სიზმრები) განპირობებულია ნელი ძილის ფაზის გაზრდით;
- /// ორგანიზმიდან ნელად გამოყოფადი ანქსიოლიზურებისთვის დამახასიათებელია აბსტინენტური სინდრომის უფრო მძაფრი გამოვლენა, ამ ჯგუფის სწრაფად გამოყოფად პრეპარატებთან შედარებით.

- //// ქვემოთ დასახელებული ბენზოდიაზეპინებიდან რომლებს ახასიათებთ ხანგრძლივი ნახევარგამოყოფის (T1/2) პერიოდი?
- /// ალპრაზოლამი;
- /// ლორაზეპამი;
- /// ოქსაზეპამი;
- \\ ფლურაზეპამი.

- //// ქვემოთ დასახელებული ბენზოდიაზეპინებიდან რომლებს ახასიათებთ ხანმოკლე ნახევარგამოყოფის (T1/2) პერიოდი?
- \\ ტრიაზოლამი
- /// ფლურაზეპამი;
- /// დიაზეპამი;
- /// ნიტრაზეპამი.

- //// შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:
- \\ არსებობს ბენზოდიაზეპინური რეცეპტორების ენდოგენური ლიგანდები;
- /// ბენზოდიაზეპინები ხასიათდებიან ამგზნები ეფექტით პოლისინაფსურ რეფლექსებზე და ისინი აძლიერებენ იმპულსების გადაცემას ჩართულ ნეირონებზე;
- /// მაღალ დოზებში ბენზოდიაზეპინები აადვილებენ იმპულსების გადაცემას ნერვ-კუნთოვანი შეერთების ადგილას;
- /// ბენზოდიაზეპინების ცალკე გამოყენება შესაძლებელია ზოგადი ნარკოზის გამოსაწვევად და მის შესანარჩუნებლად.

!!! ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი ავლენს ანქსიოლიზურ მოქმედებას გაემ-(გამაამინოერბოს მჟავა) ერგულ სისტემებზე მოქმედების გარეშე?

- !!! ფლურაზეპამი;
- !!! პრაზეპამი;
- !!! ოქსაზეპამი;
- !! ბუსპირონი.

!!! ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი ავლენს ანქსიოლიზურ მოქმედებას 5-HT_{1A}-სეროტონინული რეცეპტორების მიმართ პარციული აგონისტური ეფექტით?

- !!! ფლუმაზენილი;
- !!! ფენობარბიტალი;
- !!! ტემაზეპამი;
- !! ბუსპირონი;

!!! შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:

- !!! 5-HT_{1A}-სეროტონინული რეცეპტორების პარციული აგონისტის ანქსიოლიზური ეფექტი ძალიან სწრაფად ვითარდება;
- !! სეროტონინერგული ნეირონები შუა ტვინის ნაკერის ბირთვში ღოკალიზდებიან და თავის ტვინის მრავალ უბანში პროეცირდებიან, რომლებიც განგაშის ფორმირებაზე არიან პასუხისმგებელი (ჰიპოკამპი, ნუშისებრი სხეული, შუბლის წილი);
- !!! ბეტა-ბლოკატორები არ მოქმედებენ განგაშის ვეგეტატურ გამოვლინებაზე, როგორცაა ტრემორი, ტაქიკარდია, ოფლდენა და დიარეა;
- !!! ფლუმაზენილი ავლენს ანტაგონიზმს ალკოჰოლის, ოპიოიდების და საძილე საშუალებების მიმართ.

!!! ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი მიეკუთვნება იმიდაზოპირიდინის ნაწარმს, რომელიც უკავშირდება ბენზოდიასეპინურ რეცეპტორებს და ბენზოდიასეპინების მსგავსად აადვილებს გაემ-(გამაამინოერბოს მჟავა) განპირობებულ პროცესს?

- !!! კლონაზეპამი;
- !!! ნიტრაზეპამი;
- !! ზოლპიდემი;
- !!! ტრიაზოლამი;

!!! ქვემოთ დასახელებული პრეპარატებიდან რომელი იწვევს ნაკლებად გამოხატულ ფსიქომოტორულ დარღვევებს და ნაკლებად მოქმედებს ავტომობილის მართვის უნარზე?

- !!! დიაზეპამი;
- !!! კლონაზეპამი;
- !!! ნიტრაზეპამი;
- !! ბუსპირონი.

!!! საძილე საშუალებების მოქმედება ნორმალურ ძილზე შემდეგია:

- !! ამცირებენ დაძინების დროის ხანგრძლივობას (ძილის დადგომის ლატენცურ პერიოდს);
- !!! ხანგრძლივდება სწრაფი ძილის სტადია;
- !!! მოკლდება ნელი ძილის II სტადია;
- !!! ელექტროენცეფალოგრამაზე დომინირებს დესინქრონიზაცია.

!!! საძილე პრეპარატების მიღების უეცარი შეწყვეტით განპირობებული მოხსნის სინდრომი ხასიათდება:

- !!! ნელი ძილის ფაზის გახანგრძლივებით;
- !! სწრაფი ძილის განვითარების სიხშირისა და მისი ხანგრძლივობის გაზრდით;
- !!! როგორც სწრაფი, ასევე ნელი ძილის გახანგრძლივებით;
- !!! სწრაფი და ნელი ძილის ფაზების შემოკლებით.

!!! შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:

- !!! ფენობარბიტალი არ ხასიათდება სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედებით;
- !!! სედაციური და საძილე საშუალებების ხანგრძლივი გამოყენებით იცვლება მათი ლეტალური დოზის ფარგლები;
- !! სედაციური და საძილე საშუალებებისთვის დამახასიათებელია ჯვარედინი ტოლერანტობის განვითარება;
- !!! ბარბიტურატები ანელებენ საგულე გლიკოზიდების, დიკუმაროლის, ფენიტინის და გრიზეოფლვინის (სოკოს საწინააღმდეგო საშუალება) მეტაბოლიზმს.

- ⅢⅢ შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე;
- Ⅲ ბენზოლიაზეპინები სუსტ მჟავებს წარმოადგენენ და კარგად შეიწოვებიან კუჭიდან;
- Ⅲ ბენზოლიაზეპინები სუსტი ფუძეებია, რომლებიც ყველაზე კარგად თორმეტგოჯა ნაწლავიდან შეიწოვება (pH-ის მაღალი მნიშვნელობისას);
- Ⅲ ბარბიტურატები როგორც სუსტი ფუძეები ჩვეულებრივ კარგად შეიწოვებიან თორმეტგოჯა ნაწლავიდან;
- Ⅲ ბარბიტურატები როგორც სუსტი ტუტეები ჩვეულებრივ კარგად შეიწოვებიან კუჭიდან და წერილი ნაწლავებიდან.

- ⅢⅢ შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე;
- Ⅲ ცხიმში ხსნადობა ძირითად როლს თამაშობს სედაციური და საძილე საშუალების ცნს-ში მოხვედრის სიჩქარის განსაზღვრად;
- Ⅲ ბარბიტურატები თავის ტვინიდან სწრაფად გადანაწილებიან ჯერ ცხიმოვან ქსოვილში, ხოლო შემდეგ ჩონჩხის კუნთებში;
- Ⅲ ბენზოლიაზეპინების მეტაბოლური ტრანსფორმაციის და ელიმინაციის სიჩქარე ადამიანებში ძალიან მაღალია, რის გამოც მათი ძირითადი ფარმაკოლოგიური ეფექტები სწრაფად წყდება;
- Ⅲ ბენზოლიაზეპინები და ბარბიტურატები არ აღწევენ პლაცენტურ ბარიერში.

- ⅢⅢ ქვემოთ მოყვანილი მტკიცებულებებიდან რომელია სწორი?
- Ⅲ ბენზოლიაზეპინები ნაკლებად უერთდებიან პლაზმის ცილებს;
- Ⅲ ფენობარბიტალის ნახევარგამოყოფის ($T_{1/2}$) პერიოდი 4-5 დღეს შეადგენს;
- Ⅲ ფენობარბიტალის გამოყოფის სიჩქარის გაზრდა შესაძლებელია შარდის მჟავიანობის გაზრდით;
- Ⅲ ფენობარბიტალი სუსტ ფუძეს წარმოადგენს.

- ⅢⅢ ქვემოთ მოყვანილი მდგომარეობებიდან როდის არ გამოიყენება ბენზოლიაზეპინები და საძილე საშუალებები?
- Ⅲ განგაშის მოსახსნელად;
- Ⅲ საძილე ეფექტისთვის;
- Ⅲ სედაციის და ამნეზიის მიზნით სამედიცინო და ქირურგიული პროცედურების წინ;
- Ⅲ ანტიპარკინსონული საშუალებების ეფექტის პოტენცირებისათვის.

- ⅢⅢ ცენტრალურ ნერვულ სისტემაში “სწრაფ სიგნალიზაციას” ახორციელებენ შემდეგი ნეირომედიატორები:
- Ⅲ აცეტილქოლინი (ნიკოტინის მაგვარი ეფექტები);
- Ⅲ აცეტილქოლინი (მუსკარინული ეფექტები);
- Ⅲ სუბსტანცია “P”;
- Ⅲ ანგიოტენზინი;

- ⅢⅢ ცენტრალურ ნერვულ სისტემაში “ნელი სიგნალიზაციის” ნეირომედიატორებია:
- Ⅲ კატექოლამინები და სეროტონინი;
- Ⅲ გლუტამინის მჟავა;
- Ⅲ გაემ-ი (გამაამინოებოს მჟავა);
- Ⅲ ასპარაგინის მჟავა.

- ⅢⅢ ცნს-ში ამგზნები მედიატორებია:
- Ⅲ გლუტამატი;
- Ⅲ გლიცინი;
- Ⅲ გაემ-ი (გამაამინოებოს მჟავა);
- Ⅲ “ენდოზეპინები”.

- ⅢⅢ ცნს-ში შემაკავებელი მედიატორებია:
- Ⅲ გლიცინი;
- Ⅲ გლუტამატი;
- Ⅲ ასპარტატი;
- Ⅲ სუბსტანცია “P”

- ⅢⅢ ზურგის ტვინის შუამდებარე ნეირონების ძირითადი შემაკავებელი მედიატორია:
- Ⅲ ნორადრენალინი;
- Ⅲ სეროტონინი;
- Ⅲ გაემ-ი (გამაამინოებოს მჟავა);
- Ⅲ გლიცინი;

- ⅢⅢ შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე;

- III გაემ-A რეცეპტორები ლოკალიზებულია პრესინაფსურად;
 - III გაემ-B რეცეპტორები ლოკალიზებულია პოსტსინაფსურად;
 - II გაემ-A რეცეპტორები ბლოკირდება ბიკუკულინით (კრუნჩხვითი შხამი);
 - III გაემ-B რეცეპტორების აქტივაცია ზრდის გლუტამატის და გაემ-ის გამოყოფას.
- IIII შეარჩიეთ მცდარი დებულება:
- III გაემ-B რეცეპტორები ლოკალიზებულია პრესინაფსურად და მათი აქტივაცია ამცირებს გლუტამატის და გაემ-ის გამოყოფას;
 - III გაემ-B რეცეპტორების აქტივაცია ხორციელდება ბაკლოფენით (პარაქლორფენილ-გაემ);
 - III ბაკლოფენი ამცირებს გლუტამატის გამონთავისუფლებას ზურგის ტვინში და ავლენს ანტისპასტიკურ მოქმედებას;
 - II აცეტილქოლინი ძირითადად შემაკავებელი მედიატორია ცნს-ში.
- IIII შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:
- III დისულფირამი ასტიმულირებს ალკოჰოლდეჰიდროგენაზას, რაც იწვევს აცეტალდეჰიდის დაშლას;
 - II დისულფირამის ფონზე ალკოჰოლის მიღებისას ადგილი აქვს სახის ჰიპერემიას, თავის პულსირებულ ტკივილს, გულისრევას, პირღებინებას, ჰიპოტენზიას და ცნობიერების დარღვევას;
 - III დისულფირამის ეფექტი სწრაფად ვლინდება;
 - III დისულფირამის მოხსნიდან მისი ეფექტი სწრაფად ქრება.
- IIII ქვემოთ მოყვანილი მტკიცებულებებიდან რომელია სწორი?
- II ბაკლოფენი გამოიყენება გაფანტული სკლეროზის დროს სპასტიკურობის შესამცირებლად;
 - III ტეტანუსის ტოქსინი აძლიერებს ნერვული დაბოლოებებიდან გლიცინის გამონთავისუფლებას;
 - III ცენტრალურ ნეირონებზე ლოკალური აპლიკაციისას კატექოლამინები ძირითადად იწვევენ აგზნებით ეფექტებს;
 - III აზოტის ოქსიდი (NO) ფუნქციონირებს როგორც მხოლოდ პერიფერიული ნერვული სისტემის მედიატორი.
- IIII შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:
- II გლიცინური რეცეპტორები ბლოკირდება სტრიქნინით (კრუნჩხვითი შხამი);
 - III ტეტანუსის ტოქსინი არ იწვევს კრუნჩხვებს;
 - III გლუტამატ-რეცეპტორების აქტივაცია ცნს-ზე ხასიათდება შემაკავებელი ეფექტებით;
 - III პიკროტოქსინი (კრუნჩხვითი შხამი) ხელს უწყობს Cl⁻-ის იონური არხების გახსნას.
- IIII შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:
- II გლუტამატურ რეცეპტორებს მიეკუთვნება NMDA (N-მეთილ-D-ასპარტატი), AMPA (ალფა-ამინო-3-ჰიდროქსი-5-მეთილ-4-იზოქსაზოლპროპიონის მჟავა) და კაინატური (აქტივირდება კაინის მჟავით);
 - III გლუტამატ რეცეპტორების აგონისტებს იყენებენ კონვულსიური მდგომარეობების საწინააღმდეგოდ;
 - III აცეტილქოლინის ამგზნები ეფექტები ცენტრალურ ნეირონებზე ძირითადად ხორციელდება ნიკოტინური რეცეპტორების მეშვეობით;
 - III მონოამინები (კატექოლამინები, სეროტონინი) სამიზნე უჯრედების მცირე რაოდენობაზე მოქმედებენ.
- IIII შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ მოყვანილი მტკიცებულებებიდან:
- III ბენზოდიაზეპინები ხსნიან Cl⁻-ის იონის არხებს მათზე უშუალო ზემოქმედებით;
 - III ბენზოდიაზეპინები ავლენენ ანალგეზურ ეფექტს;
 - III კლინიკური გაუმჯობესება განგაშის შეგრძნების ნიველირების თვალსაზრისით ვლინდება ბენზოდიაზეპინებით მკურნალობის დაწყებიდან 2-4 კვირის შემდეგ;
 - II ყველა ბენზოდიაზეპინს გააჩნია სედაციური ეფექტი;
- IIII ბენზოდიაზეპინები უეფექტოა:
- III ტეტანუსი;
 - II შიზოფრენია;
 - III ეპილეფსიური გულყრები;
 - III უძილობა;
- IIII ქვემოთ დასახელებული საშუალებებიდან რომელია ხანმოკლე მოქმედი საძილე პრეპარატი?
- III ფენობარბიტალი;
 - III დიაზეპამი;
 - III ქლორდიაზეპოქსიდი;
 - II თიოპენტალი;

- /// ქვემოთ მოყვანილი მტკიცებულებებიდან რომელია სწორი?
- /// ფენობარბიტალი ავლენს ანალგეზურ თვისებებს;
- /// დიაზეპამი და ფენობარბიტალი ხელს უწყობენ ციტოქრომ-P-450 ფერმენტული სისტემის ინდუქციას;
- /// ფენობარბიტალი ეფექტურია მწვავე ხანგამოშვებითი პორფირიის სამკურნალოდ;
- /// ფენობარბიტალი იწვევს რესპირატორულ დეპრესიას, რომელიც ალკოჰოლით ძლიერდება;

- /// ქვემოთ დასახელებული ბენზოდიასეპინებიდან რომელს გააჩნია ყველაზე მაღალი უკუკავების პოტენციალი (“კომარული სიზმრები”) მათი ხანგრძლივი თერაპიისას უეცარი მოხსნის შემთხვევაში?
- /// ტრიაზოლამი;
- /// ფლურაზეპამი;
- /// ალპრაზოლამი;
- /// ტემაზეპამი;

- /// ქვემოთ მოყვანილი მტკიცებულებებიდან რომელია სწორი?
- /// ეთანოლი ტოქსიკურ დოზებში ექვემდებარება პირველი რიგის მეტაბოლიზმს;
- /// ფენობარბიტალით გამოწვეული სუნთქვის დეპრესია შეიძლება მოიხსნას ეთანოლით;
- /// დისულფირამი ხელს უწყობს აცეტალდეჰიდის დაჟანგვას;
- /// ბენზოდიასეპინების გამოყენება შესაძლებელია ქრონიკული ალკოჰოლიზმის მოხსნის სიმპტომების ნიველირებისათვის.

- /// დიაზეპამი:
- /// იწვევს სედაციას, რომელიც ქრება ორგანიზმიდან პრეპარატის ელიმინაციის შემდეგ;
- /// ურთიერთქმედებს ამიტრიპტილინთან (ანტიდეპრესანტი), რითაც ვლინდება ადიციური სედაციური ეფექტი;
- /// ეფექტურია ასთმით დაავადებულ პირებში შეტევის დროს განაგაშის შეგრძნების კუპირების მიზნით;
- /// შესაძლებელია მისი პერორული მიღება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში კრუნჩხვების პრევენციის მიზნით;

- /// ეთანოლი:
- /// მისი 90%-ზე მეტი ღვიძლში განიცდის დაჟანგვას, ხოლო დანარჩენი ნაწილი ექსკრეტირდება თირკმლებით და ფილტვებით;
- /// მისი ჩვეულებრივი დოზით მიღებისას დაჟანგვის სინქარე შეესაბამება პირველი რიგის კინეტიკას ანუ დამოკიდებულია დროსა და ნივთიერების კონცენტრაციაზე;
- /// ალკოჰოლის რაოდენობა, რომელიც განიცდის დროის ერთეულში დაჟანგვას სხეულისა და ღვიძლის მასის უკუპროპორციულია;
- /// სპირტის აცეტალდეჰიდამდე მეტაბოლიზმის მხლოდ ერთი გზა არსებობს.

- /// შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:
- /// ალკოჰოლის მეტაბოლიზმის მთავარი გზა უკავშირდება ალკოჰოლდეჰიდრაგენაზას;
- /// ალკოჰოლდეჰიდრაგენაზა Zn^{2+} -შემცველი ციტოლიზური ფერმენტია, რომელიც აინჰიბირებს აცეტალდეჰიდად სპირტის გარდაქმნას;
- /// ალკოჰოლდეჰიდრაგენაზა იმყოფება მხოლოდ ღვიძლში;
- /// ალკოჰოლის პერორულად და ინტრავენურად მიღებისას მისი დონე ქალებში და მამაკაცებში თანაბარია.

- /// შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:
- /// ალკოჰოლდეჰიდრაგენაზა წარმოადგენს ალკოჰოლის დამჟანგველ ძირითად სისტემას, მაშინ როდესაც ალკოჰოლის კონცენტრაციის მომატებისას მიკროსომული ეთანოლდამჟანგველი სისტემის (მედს) როლი მნიშვნელოვნად იზრდება;
- /// ალკოჰოლის ქრონიკული მოხმარებისას მედს-ის აქტივობა საგრძნობლად კლებულობს;
- /// ალკოჰოლის ქრონიკული მოხმარება მნიშვნელოვნად ამცირებს იმ პრეპარატების კლირენსს, რომლებიც მეტაბოლიზდებიან ღვიძლის მიკროსომული ფერმენტებით;
- /// ალკოჰოლისგან წარმოქმნილი აცეტალდეჰიდის მხოლოდ მცირე პროცენტი იჟანგება ღვიძლში.

- /// შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:
- /// ალკოჰოლის ხანგრძლივი მოხმარებისას მის მიმართ ვითარდება ტოლერანტობა და ფიზიკური დამოკიდებულება;
- /// ალკოჰოლის ქრონიკული მიღება იწვევს მატერიალურ კუმულაციას;
- /// გაემ-რეცეპტორების გამააქტივებელი საშუალებები ამცირებენ ალკოჰოლით გამოწვეულ მწვავე ეფექტებს;
- /// ეთანოლი ააგზნებს გლუტამატ-რეცეპტორების NMDA-ქვეტიკს.

- /// ეთანოლი:

- /// იწვევს სისხლძარღვთა შევიწროვებას, რომელიც განპირობებულია ვაზომოტორული ცენტრის აქტივაციით და სისხლძარღვებზე უშუალო ზეგავლენით;
 - \\ მისი ჭარბი დოზირებისას ადგილი აქვს ვაზოდილატაციას და ჰიპოთერმიას;
 - /// ხელს უწყობს საშვილოსნოს მიომეტრიუმის შეკუმშვას;
 - /// ალკოჰოლი აქვეითებს კუჭისა და პანკრეასის სეკრეციას.
- //// შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:
 - \\ ქრონიკული ალკოჰოლიზმი იწვევს ვიტამინ B₁-დეფიციტისთვის დამახასიათებელ ვერნიკე-კორსაკოვის სინდრომის (თვალის გარეთა კუნთების დამბლა, ატაქსია, მესხიერების დარღვევა), პერიფერიული ნეიროპათიის განვითარებას და გულის დაზიანებას;
 - /// ალკოჰოლის ქრონიკული მიღება არ ცვლის სისხლის სურათს და ლიპიდურ სპექტრს;
 - /// ალკოჰოლი არ გაივლის პლაცენტურ ბარიერს;
 - /// ალკოჰოლის ქრონიკულ მიღებას შეუძლია დააქვეითოს სხვა წამლების მეტაბოლური ტრანსფორმაცია;
- //// 75 წლის ქალი უძილობის გამო 20 დღის განმავლობაში დეპულობდა დიაზეპამს. ამ პერიოდის გავლის შემდეგ მისმა ნათესავმა შემთხვევითი ვიზიტისას აღმოაჩინა, რომ პაციენტი იმყოფება დათრგუნულ მდგომარეობაში სომნოლენციისა და ცნობიერების დარღვევის ნიშნებით. გაეცით პასუხი ქვემოთ დასმულ კითხვებს:
 - /// ხანდაზმულ ასაკში ბენზოდიაზეპინები და კერძოდ, დიაზეპამი არ საჭიროებს დოზის კორექციას;
 - /// დიაზეპამის მეტაბოლიტი – დესმეთილდიაზეპამი უფრო ხანმოკლედ მოქმედებს საწყის პრეპარატთან შედარებით;
 - \\ დიაზეპამის ჭარბი დოზირებისას და ცნს-ის დათრგუნვისას იყენებენ ფლუმაზენილს;
 - /// ბენზოდიაზეპინები არ განიცდიან ღვიძლში მეტაბოლიზმს და უცვლელი სახით თირკმლებით გამოიყოფიან;
- //// 50 წლის მამაკაცს შიშისა და დაძაბულობის შეგრძნების გამო ექიმმა დაუნიშნა დიაზეპამი. პრეპარატის მიღებიდან 3 კვირის შემდეგ პაციენტმა უეცრად შეწყვიტა მისი გამოყენება, რის შემდეგაც მას დაერღვა ძილი “კოშმარული სიზმრების” გახშირებით. გაეცით პასუხი ქვემოთ დასმულ კითხვებს:
 - /// დიაზეპამის ხანგრძლივი გამოყენებისას მისი უეცარი მოხსნა იწვევს ნელი ძილის ფაზის გახანგრძლივებას;
 - \\ დიაზეპამის მოხსნით განპირობებული უკუგების ფენომენი (რიბაუნდი) გამოწვეულია სწრაფი (პარადოქსული) ძილის ფაზის გაზრდით;
 - /// აბსტინენტური სინდრომი უფრო ხშირად ვითარდება ხანგრძლივი ნახევარგამოყოფის პერიოდის (T_{1/2}) მქონე ბენზოდიაზეპინების მოხსნისას;
 - /// უკუგების ფენომენი განპირობებულია ძილის სწრაფი და ნელი ფაზების შემცირებით.
- //// 50 წლის მამაკაცი ქრონიკული იშემიური დაავადებით და მოციმციმე არითმიით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში დეპულობდა ვარფარინს, ხოლო ბოლო პერიოდში ძილის გასაუმჯობესებლად – ფენობარბიტალს. ამ უკანასკნელის მიღებიდან 10 დღის შემდეგ პაციენტმა თვითნებურად შეწყვიტა ფენობარბიტალის მიღება დისკომფორტისა და გამოხატული პოსტჰიპნოტური ეფექტის გამო, რის შემდეგაც გარკვეული პერიოდის გასვლისას მისი მდგომარეობა მკვეთრად დამძიმდა. მას აღენიშნება ტაქიკარდია სუსტი პულსით, კოლაპტოიდური მდგომარეობა, სიფერმკრთაღე და სახეზე ცივი ოფლი. იგი მოთავსებულ იქნა სტაციონარში. გაეცით პასუხი ქვემოთ დასმულ კითხვებს:
 - /// პაციენტს განუვითარდა თრომბოზის მოვლენები;
 - \\ ფენობარბიტალი ხელს უწყობს ღვიძლის მიკროსომული ფერმენტული სისტემის ინდუქციას და აჩქარებს ვარფარინის მეტაბოლიზმს;
 - /// ფენობარბიტალი თირკმლებზე მოქმედებით ანელებს ვარფარინის ორგანიზმიდან ელიმინაციას;
 - /// ფენობარბიტალს არ ახასიათებს სხვა წამლებთან ურთიერთქმედება.
- //// ავტომობილის მფლობელ 42 წლის მამაკაცს, რომელსაც აღენიშნება განგაშის და შიშის შეგრძნება ექიმმა დაუნიშნა ანქსიოლიზური საშუალება. პაციენტს პრეპარატის მიღებიდან ერთი კვირის შემდეგ მთლიანად მოეხსნა ზემოთ აღნიშნული მოვლენები, რის შემდეგაც თავისუფლად შეძლო ავტომობილის მართვა. გაეცით პასუხი ქვემოთ დასმულ კითხვებს: ქვემოთ ჩამოთვლილი პრეპარატებიდან რომელს დაუნიშნავდა ექიმი პაციენტს?
 - /// ნიტრაზეპამი;
 - /// დიაზეპამი;
 - \\ ბუსპირონი;
 - /// ტემაზეპამი;
- //// ზოგიერთი ანქსიოლიზური საშუალებების მოქმედების მექანიზმია:
 - /// თრგუნავენ გაემ-ერგულ (გამაამინოერბოს მუავა) სისტემებს;
 - \\ ავლენენ პარციულ აგონიზმს 5-HT_{1A}-სეროტონინული რეცეპტორების მიმართ;
 - /// აბლოკირებენ დოფამინურ რეცეპტორებს;

III აბლოკირებენ მუსკარინულ რეცეპტორებს.

III ქრონიკული ალკოჰოლიზმით დაავადებულმა პირმა თავის ამხანაგთან ერთად ეთანოლის ნაცვლად შეცდომით მიიღო მეთანოლი, რის შემდეგაც ორივე მათგანი უმძიმესი ინტოქსიკაციით მოთავსებულ იქნა რენიმაციულ განყოფილებაში. გაეცით პასუხი ქვემოთ დასმულ კითხვებს: მეთანოლით მოწამვლისათვის დამახასიათებელია:

- II მხედველობითი დარღვევები;
- III ამონასუნთქ ჰაერში და შარდში აცეტონის სუნი;
- III ცნს-ის აგზნება;
- III შარდში ოქსალატური კრისტალები.

III ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებიდან რომელს არ მიმართავენ მეთანოლით მოწამვლისას?

- III ეთანოლის შეყვანა;
- III დიალიზი;
- III ტუტეების შეყვანა მეტაბოლური აციდოზის კორექციისათვის;
- II ეთილენგლიკოლის შეყვანა.

III პარციული და გენერალიზებული ტონურ-კლონური კრუნჩხვების დროს გამოსაყენებელი პრეპარატებია:

- III ეტოსუქსიმიდი;
- III ქლორმეტიაზოლი;
- III დიაზეპამი;
- II კარბამაზეპინი.

III მცირე ეპილეფსიური გულყრების საწინააღმდეგო პრეპარატებია:

- III ფენიტონი;
- III კარბამაზეპინი;
- III ფენობარბიტალი;
- II ეტოსუქსიმიდი;

III ქვემოთ ჩამოთვლილი პრეპარატებიდან რომელია უეფექტო დიდი ეპილეფსიური გულყრების (grand mal) დროს?

- III ფენობარბიტალი;
- II გაბაპენტინი;
- III ლამოტრიჟინი;
- III ფენიტონი.

III ქვემოთ ჩამოთვლილი პრეპარატებიდან რომელია ყველაზე ეფექტური მიოკლონური ტიპის კრუნჩხვების დროს?

- II ნატრიუმის ვალპროატი;
- III ფენობარბიტალი;
- III კარბამაზეპინი;
- III მეფენიტონი;

III ქვემოთ ჩამოთვლილი პრეპარატებიდან რომელს იყენებენ ეპილეფსიური სტატუსის დროს?

- III ვიგაბატრინი;
- III ეტოსუქსიმიდი;
- III კარბამაზეპინი;
- II კლონაზეპამი;

III ნატრიუმის ვალპროატი:

- II არჩევის პრეპარატს წარმოადგენს ატონური კრუნჩხვების დროს;
- III აინდუცირებს ვარფარინის მეტაბოლიზმს;
- III ყოველთვის საჭიროა მისი მოხსნა თუ პაციენტი გეგმავეს დაორსულებას;
- III ღვიძლის ციროზით დაავადებულ პაციენტებში არჩევის ანტიკონულსანტია;

III კუნთების ტონური რიგიდობის პერიოდები, რომელიც თან სდევს სხეულის მასიურ კონვულსიას დამახასიათებელია:

- III მცირე ეპილეფსიური გულყრებისთვის;
- III მიოკლონუსისთვის;
- III პარციული გულყრებისათვის;
- II დიდი ეპილეფსიური გულყრებისთვის.

/// აბსანსები - ცნობიერების ხანმოკლე დაკარგვით (ჩვეულებრივ 10 წმ-ზე ნაკლები) დამახასიათებელია:

- /// ეპილეფსიური სტატუსისათვის;
- /// პარციული გულყრებისთვის;
- /// დიდი ეპილეფსიური გულყრებისთვის;
- \\ მცირე ეპილეფსიური გულყრებისთვის.

/// მდგომარეობა, რომლის დროსაც გულყრები თან სდევს ერთმანეთს ცნობიერების ერთდროული დაკარგვით დამახასიათებელია:

- /// მცირე გულყრებისთვის;
- /// პარციული გულყრებისთვის;
- \\ ეპილეფსიური სტატუსისათვის;
- /// დიდი გულყრებისთვის.

/// ქვემოთ ჩამოთვლილი მდგომარეობებიდან რომელი მოითხოვს გადაუდებელ თერაპიას დიაზეპამის ან კლონაზეპამის ინტრავენური შეყვანით, ან ქლორმეტიაზოლის ხანგრძლივ ინტრავენურ შეყვანას?

- /// დიდი ეპილეფსიური გულყრა;
- /// მიოკლონუსი;
- /// პარციული გულყრები;
- \\ ეპილეფსიური სტატუსი.

/// ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელს იყენებენ პირველი რიგის თერაპიის სახით დიდი ეპილეფსიური გულყრების დროს?

- \\ კარბამაზეპინი;
- /// ფენობარბიტალი;
- /// გაბაპენტინი;
- /// კლონაზეპამი;

/// ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი ხასიათდება ყველაზე უფრო მაღალ დოზებში ძილიანობისადმი მიდრეკილებით?

- /// ლამოტრიჟინი;
- /// გაბაპენტინი;
- /// ვიგაბატრინი;
- \\ პრიმიდონი.

/// ანტიეპილეფსიური ეფექტის რეალიზაციისას ნეირონული მემბრანის განვლადობას Na -ის იონების მიმართ ამცირებენ:

- /// ეტოსუქციმიდი;
- /// დიაზეპამი;
- /// ვიგაბატრინი;
- \\ ფენიტონი.

/// ცნს-ში გაემ-(გამაამინოერბოს მჟავა) განპირობებული შეკავების მექანიზმით ანტიეპილეფსიურ ეფექტს ავლენენ:

- /// ლამოტრიჟინი;
- /// ფენიტონი;
- /// კარბამაზეპინი;
- \\ ვიგაბატრინი.

/// ანტიეპილეფსიური ეფექტის რეალიზაციისას Na -ის იონების მიმართ ნეირონული მემბრანის განვლადობას ამცირებს და ცნს-ში გაემ-განპირობებულ შეკავებით პროცესს აძლიერებს:

- \\ ნატრიუმის ვალპროატი;
- /// კლონაზეპამი;
- /// კარბამაზეპინი;
- /// ფენიტონი;

/// ფენიტონის ანტიეპილეფსიური მოქმედების მექანიზმი:

- \\ უერთდება Na -ის არააქტიურ (დახურულ) არხებს და ხელს უშლის მათ გახსნას;
- /// ამცირებს აქტიურ მდგომარეობაში (გახსნილი) მყოფი Na -ის არხების რაოდენობას;
- /// ხელს უწყობს ცნს-ში გაემ-ის (გამაამინოერბოს მჟავა) დაგროვებას;

III ხელს უწყობს Cl⁻-ის ანიონის არხების გახსნას;

III ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან ფენიტონის ანალოგიური მოქმედების მექანიზმი გააჩნია:

- III კლონაზეპამი;
- III ფენობარბიტალი;
- III ეტოსუქციმიდი;
- II კარბამაზეპინი.

III ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი აინჰიბირებს გაემ-ტრანსფერაზას და გაემ-ის ცნს-ში დაგროვებით აგლენს ანტიეპილეფსიურ ეფექტს?

- II ვიგაბატრინი;
- III ლამოტრიჟინი;
- III ფენიტონი;
- III კარბამაზეპინი;

III ფენობარბიტალი:

- III ზრდის ნერვული მემბრანის განვლადობას Na -ის არხების მიმართ;
- II აძლიერებს ცნს-ში გამონთავისუფლებული გაემ-ის (გამაამინოერბოს მჟავა) მოქმედებას გაემA-რეცეპტორ/Cl⁻ არხზე და ამცირებს ამგზნებ სინაფსებზე გლუტამატის მოქმედებას;
- III აინჰიბირებს გაემ-ტრანსფერაზას და ხელს უწყობს ცნს-ში გაემ-ის დაგროვებას;
- III ააქტივებს გლუტამატდეკარბოქსილაზას და ზრდის ცნს-ში გაემ-მოქმედებას.

III ნატრიუმის ვალპროატი:

- III ამცირებს ცნს-ში აქტივირებული Na -ის არხების რაოდენობას;
- III ამცირებს ამგზნებ ნეირონებზე გლუტამატის მოქმედებას;
- III მოქმედებს ნეირონული მემბრანის ბარბიტურულ უბანზე და გაემA-რეცეპტორ/Cl⁻ არხზე;
- II აინჰიბირებს გაემ-ტრანსფერაზას და ააქტივებს გლუტამატდეკარბოქსილაზას, რითაც ზრდის გაემ-განპირობებულ შეკავებას ცნს-ში.

III ეტოსუქციმიდი:

- III ზრდის არააქტიურ მდგომარეობაში მყოფი Na -ის არხების რაოდენობას;
- III ზრდის ცნს-ში გაემ-ის (გამაამინოერბოს მჟავა) რაოდენობას;
- II აინჰიბირებს T-ტიპის კალციუმის ნელ არხებს თალამურ ნეირონებში და ზრდის მოქმედების პოტენციალის ზღურბლს;
- III აინჰიბირებს გაემ-ტრანსფერაზას და ზრდის გაემ-ის რაოდენობას ცნს-ში.

III ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომლები აინჰიბირებენ თალამურ ნეირონებში T-ტიპის კალციუმის ნელ არხებს?

- III ფენობარბიტალი;
- III ვიგაბატრინი;
- III ლამოტრიჟინი;
- II ნატრიუმის ვალპროატი.

III მცირე ეპილეფსიურ გულყრებზე მოქმედი საშუალებები:

- III აინჰიბირებს აქტივირებულ Na -ის არხებს;
- III უკავშირდებიან ინაქტივირებულ Na -ის არხებს და ხელს უშლიან მათ გახსნას;
- II აინჰიბირებენ თალამურ ნეირონებში T-ტიპის კალციუმის ნელ არხებს;
- III ააქტივებენ გლუტამატდეკარბოქსილაზას და აძლიერებენ ცნს-ში გაემ- (გამაამინოერბოს მჟავა) განპირობებულ შეკავებას.

III ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელს სჭირდება მისი დოზის ცვლილებისას ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი (20 დღემდე) სტაციონარული დონის მისაღწევად?

- II ფენიტონი;
- III კარბამაზეპინი;
- III ლამოტრიჟინი;
- III ვიგაბატრინი;

III ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი იწვევს ღვიძლის მიკროსომული ფერმენტების ინდუცირებას:

- III დიაზეპამი;
- III კლონაზეპამი;

- \\ ფენობარბიტალი;
- \\ ეტოსუქციმიდი.

\\ \\ \\ ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელს ახასიათებს ყველაზე ნათლად გამოხატული არახაზოვანი დამოკიდებულება შეყვანილ დოზასა და სისხლში მის კონცენტრაციას შორის:

- \\ \\ \\ კარბამაზეპინი;
- \\ \\ \\ ვიგაბატრინი;
- \\ \\ \\ ღიაზეპამი;
- \\ \\ ფენიტონი.

\\ \\ \\ ქვემოთ ჩამოთვლილი პრეპარატებიდან მათი თერაპიულ დიაპაზონში დოზების შემდგომი გაზრდისას რომელს ახასიათებს ნაჯერი-ნულოვანი რიგის ელიმინაცია?

- \\ \\ \\ კარბამაზეპინი;
- \\ \\ \\ ეტოსუქციმიდი;
- \\ \\ \\ ლამოტრიჟინი;
- \\ \\ ფენიტონი.

\\ \\ \\ შეარჩიეთ პრეპარატი, რომლის ერთ-ერთი მეტაბოლიტია ფენობარბიტალი:

- \\ \\ \\ გაბაპენტინი;
- \\ \\ \\ ვიგაბატრინი;
- \\ \\ \\ კლონაზეპამი;
- \\ \\ პრიმიდონი.

\\ \\ \\ ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი არ ასტიმულირებს ღვიძლის მიკროსომულ ფერმენტებს?

- \\ \\ \\ ფენობარბიტალი;
- \\ \\ \\ კარბამაზეპინი;
- \\ \\ \\ ფენიტონი;
- \\ \\ ეტოსუქციმიდი.

\\ \\ \\ რომელი პრეპარატისათვის არის დამახასიათებელი გვერდითი მოვლენები: ნისტაგმი, ატაქსია, დიზართრია და ღრძილების ჰიპერპლაზია.

- \\ \\ ფენიტონი;
- \\ \\ ნატრიუმის ვალპროატი;
- \\ \\ ლამოტრიჟინი;
- \\ \\ ეტოსუქციმიდი.

\\ \\ \\ ქვემოთ ჩამოთვლილი გვერდითი ეფექტებიდან რომელია დამახასიათებელი ნატრიუმის ვალპროატისათვის?

- \\ იდიოსინკრაზიული ჰეპატოტოქსიკურობა;
- \\ \\ ღრძილების ჰიპერპლაზია;
- \\ \\ ნისტაგმი;
- \\ \\ ატაქსია.

\\ \\ \\ შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ მოყვანილი მტკიცებულებების მიმართ: ღიაზეპამი:

- \\ \\ იწვევს სედაციას, რომელიც ქრება წამლის ელიმინაციის შემდეგ;
- \\ ხელს უწყობს ამიტრიპტილინის სედაციური ეფექტის პოტენცირებას;
- \\ \\ განგაშის შეგრძნებით მიმდინარე ასთმის შეტევისას შეუძლია სარგებლის მოტანა;
- \\ \\ ეპილეფსიური შეტევის პრევენციის მიზნით შესაძლებელია მისი პერორული ხანგრძლივი მიღება;

\\ \\ \\ კარბამაზეპინი:

- \\ \\ არჩევის პრეპარატს წარმოადგენს მცირე ეპილეფსიური გულყრების (petit mal) დროს;
- \\ \\ წარმოადგენს პროწამალს;
- \\ აინდუცირებს ღვიძლის მიკროსომულ ფერმენტებს;
- \\ \\ ჭარბი დოზირებისას არ ექვემდებარება ორგანიზმიდან ელიმინაციას ჰემოდიალიზის მეშვეობით;

\\ \\ \\ ენდოგენურ ოპიოიდურ პეპტიდებს მიეკუთვნება:

- \\ \\ მორფინი;
- \\ \\ დიამორფინი;
- \\ \\ ლევორფანოლი;
- \\ B-ენდორფინი;

- //// ოპიოიდურ ანალგეზიურ საშუალებებს მიეკუთვნება:
- /// ნიტრაზეპამი;
- /// ფენელზინი;
- /// მეფენამის მუავა;
- \\ ბუპრენორფინი;

- //// ძლიერად მოქმედი ოპიოიდური ანალგეზიური საშუალებებია:
- /// მეპტაზინოლი;
- /// პენტაზოცინი;
- /// კოდეინი;
- \\ ბუპრენორფინი.

- //// ზომიერად/სუსტად მოქმედ ოპიოიდურ ანალგეზიურ საშუალებებს მიეკუთვნება:
- /// მორფინი;
- /// დიამორფინი (პერონი);
- /// მეთადონი;
- \\ დიჰიდროკოდეინი.

- //// ქვემოთ ჩამოთვლილი ენდოგენური პეპტიდური საშუალებებიდან რომლებია პენტაპეპტიდური შენების?
- /// ბეტა-ენდორფინი;
- /// გამა-ენდორფინი;
- /// ალფა-ენდორფინი;
- \\ მეთ-ენკეფალინი.

- //// შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ მოყვანილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით: ოპიოიდური რეცეპტორებია:
- \\ მიუ, დელტა და კაპპა;
- /// მიუ, AMPA და k(კაინატური);
- /// NMDA, დელტა და კაპპა;
- /// გაემ-ი, NMDA, დელტა;

- //// ქვემოთ ჩამოთვლილი რეცეპტორებიდან რომელს ააქტივებს უპირატესად ენკეფალინები?
- /// მიუ;
- \\ დელტა;
- /// კაპპა;
- /// სიგმა;

- //// ქვემოთ ჩამოთვლილი რეცეპტორებიდან რომელს ააქტივებს უპირატესად დინორფინები?
- /// მიუ;
- \\ კაპპა;
- /// სიგმა;
- /// ეფსილონი;

- //// მიუ-ოპიოიდური რეცეპტორების აქტივაცია იწვევს:
- \\ ანალგეზიას;
- /// სუნთქვის გახშირებას;
- /// არტერიული წნევის მომატებას;
- /// კუჭ-ნაწლავის პერისტალტიკის გაზრდას;

- //// კაპპა- ოპიოიდური რეცეპტორების აქტივაცია იწვევს:
- \\ დისფორიას;
- /// ეიფორიას;
- /// ჰიპერალგეზიას;
- /// ჰალუცინაციებს;

- //// ქვემოთ ჩამოთვლილი რეცეპტორებიდან რომელთა აგზნება ხასიათდება ფსიქოზომიმეტიური (ჰალუცინოგენური), ფენციკლინიდინის მაგვარი ეფექტით?
- /// მიუ;
- /// კაპპა;
- /// დელტა;
- \\ სიგმა.

\\\\ ქვემოთ ჩამოთვლილი პეპტიდებიდან რომელი წარმოადგენს ბეტა-ენდორფინის პრეკურსორს?

- \\\\ ლიპოკორტინი;
- \\\\ პროოპიომელანოკორტინი;
- \\\\ სომატოტროპული ჰორმონი;
- \\\\ ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონი;

\\\\ ქვემოთ ჩამოთვლილი ნარკოტიკული საშუალებებიდან რომელი მათგანი წარმოადგენს მიუ რეცეპტორების პარციულ (ნაწილობრივ) აგონისტს?

- \\\\ დიამორფინი (ჰეროინი);
- \\\\ მორფინი;
- \\\\ პეტიდინი;
- \\\\ ბუპრენორფინი.

\\\\ ქვემოთ ჩამოთვლილი ნარკოტიკული საშუალებებიდან რომელი წარმოადგენს კაპა რეცეპტორების აგონისტს და მიუ რეცეპტორების ანტაგონისტს?

- \\\\ ბუპრენორფინი;
- \\\\ მორფინი;
- \\\\ პეტიდინი;
- \\\\ ნალბუფინი;

\\\\ პენტაზოცინი წარმოადგენს:

- \\\\ კაპა რეცეპტორების აგონისტს და და მიუ რეცეპტორების აგონისტს (ანტაგონისტს);
- \\\\ კაპა და დელტა რეცეპტორების ანტაგონისტს;
- \\\\ კაპა რეცეპტორების აგონისტს და დელტა რეცეპტორების ანტაგონისტს;
- \\\\ კაპა რეცეპტორების ანტაგონისტს და მიუ რეცეპტორების აგონისტს;

\\\\ ქვემოთ ჩამოთვლილი ნარკოტიკული ანალგეზიური საშუალებებიდან რომელი წარმოქმნის მათ-B-ს ზემოქმედებით ტოქსიკურ მეტაბოლიტს მფჰ (1-მეთილ-4-ფენილ-1,2,3,6-ტეტრაჰიდროპირიდინს) დოფამინერგული ნეირონების შემდგომი დაზიანებით?

- \\\\ მორფინი;
- \\\\ პეტიდინი;
- \\\\ პენტაზოცინი;
- \\\\ ბუპრენორფინი;

\\\\ ნარკოტიკული ანალგეზიური საშუალებები ხელს უწყობენ შემდეგი სახის ტკივილის კუპირებას:

- \\\\ კბილის ტკივილი;
- \\\\ იშორადიკულიტი;
- \\\\ ტენდავუგინიტი;
- \\\\ ტრავმული ტკივილი (მოტეხილობის დროს).

\\\\ ნარკოტიკული ანალგეზიური საშუალებების ქრონიკული გამოყენებისას მათ მიმართ ვითარდება:

- \\\\ ტაქიფილაქსია;
- \\\\ იდოსინკრაზია;
- \\\\ ტოლერანტობა;
- \\\\ სენსიბილიზაცია;

\\\\ ნოციცეპტური (ტკივილით გამოწვეული) იმპულსები ნოციცეპტორებიდან პირველადი აფერენტული ბოჭკოებით გადაეცემა:

- \\\\ ზურგის ტვინის უკანა რქებში, სადაც ხდება მათი გადართვა პირველ ჩართულ ნეირონზე;
- \\\\ ზურგის ტვინის წინა რქებში, სადაც ხდება მათი გადართვა შუამდებარე ნეირონზე;
- \\\\ ზურგის ტვინის გვერდით რქებში, სადაც ხდება მათი გადართვა პირველ ჩართულ ნეირონზე;
- \\\\ ზურგის ტვინის წინა რქებში, სადაც ხდება მათი გადართვა პირველ ჩართულ ნეირონზე.

\\\\ შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ მოყვანილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით:

- \\\\ ვისცერული ტკივილი აღმოცენდება გულის, ნაღვლის და შარდის ბუშტის დაზიანებისას;
- \\\\ სომატური ტკივილის დროს ნოციცეპტური იმპულსების გადაცემა ცნს-ში წარმოებს მიელინური C-ბოჭკოებით;
- \\\\ ნეიროგენული ტკივილი ეფექტურად კუპირდება ოპიოიდური ანალგეზიური საშუალებებით;
- \\\\ ნეიროგენული ტკივილი ნაკლებად კუპირდება ანტიდეპრესანტებით;

- \\\\ ნოციცეპტური იმპულსების გამტარი გზებში კონტრალატერალური გადართვა წარმოებს;
- \\\\ ჰიპოკამპში;
- \\ რეტვიკულურ ფორმაციაში;
- \\\\ ნუშისებრ სხეულში (ამიგდალა);
- \\\\ ლურჯი ხალის (locus coeruleus) მიდამოში;

\\\\ ქვემოთ ჩამოთვლილი ტკივილიდან ყველაზე კარგად რომლის ნიველირებას შეუწყობენ ხელს ნარკოტიკული ანალგეზიური საშუალებები?

- \\\\ თავის ტკივილი;
- \\\\ ბურსიტის დროს არსებული ტკივილი;
- \\\\ სამწვერა ნერვის ნევრალგია;
- \\ მიოკარდიუმის ინფარქტი.

\\\\ ზურგის ტვინის უკანა რქების შუამდებარე ნეირონების აქტივობა რეგულირდება რამოდენიმე მაინჰიბირებელი მექანიზმებით, რომელთაც არ მიეკუთვნება:

- \\\\ შუამდებარე ნეირონები, რომლებიც გამონათავისუფლებენ ოპიოიდურ პეპტიდებს (მაგ. მეთენკეფალინს);
- \\\\ ნორადრენერგული ნერვული ბოჭკოები, რომლებიც გამონათავისუფლებენ ნორადრენალინს;
- \\\\ სეროტონინერგული ნერვული ბოჭკოები, რომლებიც გამონათავისუფლებენ სეროტონინს;
- \\ პირველადი აფერენტული ბოჭკოების დაბოლოებები, რომლებიც გამონათავისუფლებენ სუბსტანცია "P"-ს.

\\\\ ქვემოთ ჩამოთვლილი ნივთიერებებიდან რომელი მათგანი უწყობს ხელს ნოციცეპტური იმპულსების გადაცემას პირველი აფერენტული ბოჭკოდან ზურგის ტვინის ჩართულ ნეირონზე?

- \\\\ გაემი-ი (გამაამინოერბოს მუავა);
- \\ სუბსტანცია "P";
- \\\\ გლიცინი;
- \\\\ სეროტონინი;

\\\\ მორფინი იწვევს ანალგეზიას, ეიფორიას, სედაციურ ეფექტს და სუნთქვის ცენტრის დათრგუნვას ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი რეცეპტორების აქტივაციით:

- \\ მიუ-რეცეპტორები;
- \\\\ კაპა- რეცეპტორები;
- \\\\ დელტა- რეცეპტორები;
- \\\\ სიგმა- რეცეპტორები;

\\\\ ოპიოიდური ანალგეზიური საშუალებების სპეციფიკური ანტაგონისტია:

- \\\\ ფლუმაზენილი;
- \\\\ დანტროლენი;
- \\ ნალოქსონი;
- \\\\ ნალბუფინი;

\\\\ ქვემოთ ჩამოთვლილი გვერდითი ეფექტებიდან რომელია დამახასიათებელი ოპიოიდური ანალგეზიური საშუალებებისთვის?

- \\ მითი;
- \\\\ არტერიული წნევის მომატება;
- \\\\ ხველის ცენტრის აგზნება;
- \\\\ სუნთქვის ცენტრის სტიმულირება.

\\\\ მორფინი იწვევს:

- \\\\ ოდის სფინქტერის მოდუნებას;
- \\\\ სანადვლე სადინრების მოდუნებას;
- \\\\ ჰისტამინის გამონათავისუფლების ბლოკირებას;
- \\ არტერიული წნევის დაქვეითებას;

\\\\ მორფინი:

- \\\\ დვიდლში მეტაბოლიზმის გარეშე უცვლელი სახით გამოიყოფა თირკმლებით;
- \\ მეტაბოლიზდება დვიდლში და კონიუგაციის გზით წარმოქმნის მაღალი აქტივობის მქონე მეტაბოლიტს – მორფინი-6-გლუკურონიდი;
- \\\\ მეტაბოლიზდება დვიდლში სულფატირებით და წარმოქმნის მაღალაქტიურ მეტაბოლიტს – მორფინის სულფატს;

III მეტაბოლიზდება ღვიძლში და გლუკურონირებით წარმოქმნის მხოლოდ არააქტიურ მეტაბოლიტს – მორფინი-3-გლუკურონიდი;

III ოპიოიდური ანალგეზიური საშუალებების ხანგრძლივი გამოყენებისას მათ მიერ გამოწვეული რომელი გვერდითი ეფექტი არ განიცდის შემცირებას?

- III ჰიპოტენზია;
- III ბრადიკარდია;
- III ჰისტამინის ლიბერაცია;
- II ყაბზობა და მიოზი.

III ოპიოიდური ანალგეზიური საშუალებების ხანგრძლივი მიღებისას:
III მათ მიმართ ვითარდება მხოლოდ ფსიქიკური დამოკიდებულება;
III მათ მიმართ ვითარდება მხოლოდ ფიზიკური დამოკიდებულება;
II ვითარდება როგორც ფსიქიკური ასევე ფიზიკური დამოკიდებულება;
III მხოლოდ ტოლერანტობა.

III ქვემოთ ჩამოთვლილი ოპიოიდური ანალგეზიური საშუალებებიდან რომლისთვისაა დამახასიათებელი ანტიმუსკარინული ეფექტი (ტაქიკარდიის სახით)?

- III ნალბუფინი;
- III მორფინი;
- II პეტიდინი;
- III პენტაზოცინი;

III ბუპრენორფინი:
II წარმოადგენს მიუ-ოპიოიდური რეცეპტორების პარციულ აგონისტს;
III მორფინზე ხანმოკლე მოქმედება ახასიათებს;
III ნალოქსონი ადვილად ხსნის მის მიერ გამოწვეულ სუნთქვის დათრგუნვის ეფექტს;
III ეფექტურია მხოლოდ პარენტერული შეყვანისას;

III ნალბუფინი:
II წარმოადგენს კაპა ოპიოიდური რეცეპტორების აგონისტს და მიუ- რეცეპტორების ანტაგონისტს;
III წარმოადგენს მიუ- რეცეპტორების აგონისტს და კაპა ოპიოიდური რეცეპტორების ანტაგონისტს;
III ანალგეზიური მოქმედებით მნიშვნელოვნად სჭარბობს მორფინს;
III სუნთქვის ცენტრის დათრგუნვის უნარით გაცილებით სჭარბობს მორფინს;

III პენტაზოცინი:
III ძალიან ძლიერად მოქმედი ნარკოტიკული ანალგეზიური საშუალებაა;
III კარგად აყუჩებს ანთებით ხასიათის ტკივილებს;
III იწვევს ძლიერ ეიფორიას;
II წარმოადგენს კაპა და ოპიოიდური რეცეპტორების აგონისტს და მიუ-რეცეპტორების პარციულ აგონისტს ან სუსტ ანტაგონისტს;

III კოდეინი:
III პერორული მიღებისას ცუდად შეიწოვება;
III ოპიოიდური რეცეპტორების მიმართ მაღალი აფინურობა ხასიათებს;
II ღვიძლში დიმეთილირდება მორფინად;
III ძალიან ხშირად იწვევს დიარეას;

III შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ მოყვანილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით. კოდეინი:
II მორფინზე მეტი ეფექტურობით გამოირჩევა ხველის რეფლექსის დათრგუნვის თვალთახედვით;
III მორფინის ექვივალენტურია ეიფორიის გამოწვევის მხრივ;
III მორფინზე ძლიერი ანალგეზიური საშუალებაა;
III სინთეზური ოპიოიდური საშუალებაა;

III ნალოქსონი:
III იწვევს სუნთქვის ცენტრის დათრგუნვას პაციენტებში, რომლებიც მანამდე არ იღებდნენ ოპიოიდურ ანალგეზიურ საშუალებებს;
II გამოიყენება მორფინით გამოწვეული სუნთქვის ცენტრის დათრგუნვის დროს;
III ხანგრძლივი მოქმედება გააჩნია;
III ნარკოტიკების მიმართ დამოკიდებულების მქონე ინდივიდებში არ შეუძლია მოხსნის სინდრომის გამოწვევა;

- //// მეთაღონი:
- /// მორფინთან შედარებით ნაკლები ანალგეზიური ეფექტი გააჩნია;
- \\ მორფინთან შედარებით გაცილებით ხანგრძლივი ეფექტი გააჩნია;
- /// ნაკლებად ეფექტურია პერორული მიღებისას;
- /// მორფინთან შედარებით უფრო ძლიერად გამოხატული მოხსნის სინდრომი გააჩნია;

- //// მორფინს:
- /// იყენებენ თავის მიმე ტრავმით გამოწვეული ტკივილის შესამსუბუქებლად;
- /// მისი მიღებით გამოწვეული მოხსნის სინდრომის კუპირება შეუძლებელია მეთაღონით;
- \\ იწვევს ყაბზობას;
- /// პარენტერული მიღებისას ნაკლებად ეფექტურია;

- //// შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით:
- \\ დიაცეტილმორფინი გამოიყენება ფილტვების შეშუპების დროს;
- /// პეტიდინი გამოიყენება ბილიარული კოლიკის (ჭვალის) დროს;
- /// მორფინი გამოიყენება ჰემოფილით დაავადებულებში სახსრების ტკივილის დროს;
- /// მორფინი გამოიყენება ბრონქული ასთმის შეტევის მოსახსნელად;

- //// ძვლებში არსებული მეტასტაზების დროს:
- \\ შესაძლებელია პერორული მორფინის გამოყენება;
- /// ოპიოიდურ ანალგეზიურებთან ერთად ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული საშუალებების გამოყენება ნაკლებად ეფექტურია;
- /// ოპიოიდური ანალგეზიურები ნაკლებად მნიშვნელოვან გვერდით ეფექტებს იწვევენ;
- /// არანარკოტიკული ანალგეზიური საშუალებები ოპიოიდების გარეშე ვერ ავლენენ ტკივილდამაყუჩებელ ეფექტს.

- //// შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ მოყვანილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით:
- \\ სომატური ტკივილი აღმოცენდება კანის, ძვლების, ფასციის, პერიტონეუმის, პლევრის და კბილის დაზიანებისას;
- /// სომატური ტკივილი ნაკლებად შემოფარგლულია;
- /// ვისცერული ტკივილის დროს (მაგ. პერიტონიტისას) მორფინი არ არის ეფექტური;
- /// ვისცერული ტკივილი კარგად არის შემოფარგლული;

- //// პარკინსონიზმის სამკურნალო საშუალებები მიეკუთვნება შემდეგ ჯგუფებს:
- /// მ-ქოლინორეცეპტორების აგონისტები;
- \\ კომტის (კატექოლმეთილტრანსფერაზა) – ინჰიბიტორები – ენტაკაპონი და ტოლკაპონი;
- /// დოფამინური რეცეპტორების ანტაგონისტები;
- /// მაო-A-ს ინჰიბიტორები;

- //// პარკინსონიზმის სამკურნალო ქოლინერგულ საშუალებებს მიეკუთვნება:
- \\ ბენზოტროპინი;
- /// სელეგილინი (დეპრენილი);
- /// ამანტადინი;
- /// ბრომპრიპტინი;

- //// პარკინსონიზმის სამკურნალო დოფამინერგული საშუალებებია:
- /// სელეგილინი;
- \\ ლევოდოპა;
- /// ბენზოტროპინი;
- /// სკოპოლამინი.

- //// პარკინსონიზმის სამკურნალო ქოლინერგული საშუალებები:
- \\ აბლოკირებენ ცენტრალურ მუსკარინულ რეცეპტორებს;
- /// ააქტივებენ ცენტრალურ მუსკარინულ რეცეპტორებს;
- /// აბლოკირებენ ცენტრალურ ნიკოტინურ რეცეპტორებს;
- /// ააქტივებენ ცენტრალურ ნიკოტინურ რეცეპტორებს;

- //// ლევოდოპა:

- /// პერორული მიღებისას მისი პერორული ბიოშედწევადობა მაღალია და არ არის დამოკიდებული კუჭის შიგთავსის pH-ზე და კუჭის დაცლის სიჩქარეზე;
- /// პარკინსონიზმის დროს ფაციტალური (სახის) ტიკის განვითარებისას საჭიროა მისი უფრო მაღალი დოზით მიღება;
- /// ხანგრძლივი თერაპიისას შესაძლებელია მისი უეცარი მოხსნა;
- \\ შესაძლებელია მისი კომბინირება მათ-B-ს ინჰიბიტორებთან;

- /// მათ-ზე მოქმედი ანტიპარკინსონული საშუალებები:
- /// შერჩევითად და შექცევადი სახით აინჰიბირებენ მათ-A-ს;
- \\ აინჰიბირებენ მათ-B-ს;
- /// არაშერჩევითად და შეუქცევადად აინჰიბირებენ მათ-ს;
- /// არ იწვევენ მათ-ს ინჰიბირებას.

- /// მათ-A იწვევს შემდეგი ნივთიერებების დეგრადაციას:
- /// მხოლოდ სეროტონინი;
- /// მხოლოდ ნორადრენალინი;
- /// მხოლოდ თირამინი;
- \\ სეროტონინი, ნორადრენალინი და თირამინი.

- /// მათ-B იწვევს შემდეგი ნივთიერებების დეგრადაციას:
- \\ დოფამინი;
- /// სეროტონინი;
- /// თირამინი;
- /// ნორადრენალინი.

- /// ბენზოტროპინი:
- \\ ცენტრალური მ-ქოლინორეცეპტორების ანტაგონისტია;
- /// დოფამინის პრეკურსორია;
- /// იწვევს დოფამინური რეცეპტორების გააქტივებას;
- /// აბლოკირებს დოფამინურ რეცეპტორებს;

- /// სელეგილინი (დეპრენილი):
- /// დოფამინის პრეკურსორია;
- /// აბლოკირებს დოფამინურ რეცეპტორებს;
- \\ მათ-B-ს ინჰიბიტორია;
- /// აბლოკირებს ცენტრალურ მუსკარინულ რეცეპტორებს;

- /// ლევოდოპა:
- \\ დოფამინის პრეკურსორია;
- /// აბლოკირებს დოფამინურ რეცეპტორებს;
- /// ხელს უწყობენ სინაფსურ ნაპრალში დოფამინის გამოთავისუფლებას;
- /// უშუალოდ ააქტივებს დოფამინურ რეცეპტორებს;

- /// ბრომოკრიპტინი და როპინიროლი:
- \\ D₂-დოფამინური რეცეპტორების აგონისტებია;
- /// დოფამინის პრეკურსორია;
- /// ხელს უწყობენ სინაფსურ ნაპრალში დოფამინის გამოთავისუფლებას;
- /// აინჰიბირებს მათ-B-ს.

- /// პერგოლიდი:
- /// ცენტრალურ მუსკარინული რეცეპტორების ანტაგონისტია;
- \\ D₂-დოფამინური რეცეპტორების აგონისტია;
- /// აინჰიბირებს მათ-B-ს;
- /// დოფამინის პრეკურსორია.

- /// პრამიპქსოლი:
- /// დოფამინური D₂- რეცეპტორების აგონისტია;
- \\ დოფამინური D₃ რეცეპტორების აგონისტია;
- /// იყენებენ სუბლინგვალურად;
- /// იყენებენ ინტრავენურად.

- ⅣⅣ შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ მოყვანილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით:
- ⅣⅣ დოფამინს იყენებენ პარკინსონიზმის სამკურნალოდ;
- ⅣⅣ დოფამინი ადვილად აღწევს ჰემატოენცეფალურ ბარიერში;
- ⅣⅣ ლევოდოპა (L-დოფა) აღწევს თავის ტვინში, რომელშიც ექვემდებარება დეკარბოქსილირებას და გარდაიქმნება დოფამინად;
- ⅣⅣ ლევოდოპა პერორული მიღებისას არ ექვემდებარება პერიფერიულ ქსოვილებში მეტაბოლიზმს.

- ⅣⅣⅣ ლევოდოპას გვერდითი ეფექტებია:
- ⅣⅣ ორთოსტატული ჰიპოტენზია;
- ⅣⅣ პირის სიმშრალე;
- ⅣⅣ ყაბზობა;
- ⅣⅣ შარდვის გაძნელება.

- ⅣⅣⅣ შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ მოყვანილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით:
- ⅣⅣ ლევოდოპას გამოყენება უმჯობესია მონოთერაპიის სახით;
- ⅣⅣ პერორული მიღებისას ლევოდოპა ძირითადად მეტაბოლიზდება პერიფერიულ ქსოვილებში, რის გამოც მას იყენებენ პერიფერიული დოფა-დეკარბოქსილაზას ინჰიბიტორებთან ერთად;
- ⅣⅣ ლევოდოპას კომბინაცია დოფა-დეკარბოქსილაზას ინჰიბიტორებთან ერთად პარკინსონიზმის თერაპიის მეორე რიგის საშუალებად არის მიჩნეული;
- ⅣⅣ ამანტადინი დოფამინური რეცეპტორების ბლოკატორია.

- ⅣⅣⅣ შეარჩიეთ მცდარი პასუხები ქვემოთ მოყვანილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით:
- ⅣⅣ კარბიდოპა პერიფერიული დოფა-დეკარბოქსილაზას ინჰიბიტორია;
- ⅣⅣ ბენსერაზიდი პერიფერიული დოფა-დეკარბოქსილაზას აქტივატორია;
- ⅣⅣ L-დოპას იყენებენ კარბიდოპასთან ან ბენსერაზიდთან ერთად;
- ⅣⅣ კარბიდოპა ამცირებს L-დოპას გვერდით მოვლენებს.

- ⅣⅣⅣ მედიკამენტოზურ პარკინსონულ სინდრომს იწვევენ:
- ⅣⅣ ბენზოდიაზეპინური ანქსიოლიზური საშუალებები;
- ⅣⅣ ბარბიტურის მუავას ნაწარმები;
- ⅣⅣ ნეიროლეფსიური საშუალებები;
- ⅣⅣ ეპილეფსიის საწინააღმდეგო საშუალებები.

- ⅣⅣⅣ მედიკამენტოზური პარკინსონიზმი გამოწვეულია:
- ⅣⅣ ტუბეროინფუნდიბულური გზის D₂-დოფამინური გზების ბლოკადით;
- ⅣⅣ მეზოლიმბური გზის D₂-დოფამინური რეცეპტორების ბლოკადით;
- ⅣⅣ ნიგროსტრიული სისტემის D₂-დოფამინური რეცეპტორების ბლოკადით;
- ⅣⅣ მეზოკორტიკული გზის D₂-დოფამინური რეცეპტორების ბლოკადით.

- ⅣⅣⅣ პარკინსონის დაავადების დროს დოფამინის დეფიციტი აღინიშნება:
- ⅣⅣ ბაზალურ განგლიებში;
- ⅣⅣ ჰიპოთალამუსში;
- ⅣⅣ თავის ტვინის ქერქში;
- ⅣⅣ მოგრძო ტვინში.

- ⅣⅣⅣ ბაზალურ განგლიებს მიეკუთვნება:
- ⅣⅣ კუდიანი ბირთვი, პუტამენი (ჩენჩო) და მკრთალი ბირთვი;
- ⅣⅣ ჰიპოთალამუსის პერივენტრიკულური, ვენტრომედიალური და არკუატული ბირთვები;
- ⅣⅣ მოგრძო ტვინის როსტრო-ვენტრალური ნაწილი და გიგანტურ-უჯრედოვანი ბირთვები;
- ⅣⅣ ნათხემი.

- ⅣⅣⅣ შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:
- ⅣⅣ ატროპინი აბლოკირებს ნეოსტრიატუმში ქოლინერგულ გზებს;
- ⅣⅣ სელეგილინი (დეპრენილი) აბლოკირებს მალ-A-ს და ზრდის თავის ტვინში დოფამინის დონეს;
- ⅣⅣ ბრომოკრიპტინი უშუალოდ არ მოქმედებს დოფამინურ რეცეპტორებზე;
- ⅣⅣ ამანტადინი ასტიმულირებს დოფამინის მეტაბოლიზმს;

- ⅣⅣⅣ პარკინსონის დაავადების დროს ნიგროსტრიული ნეირონების პროგრესული ნეიროდეგენერაციის დროს:
- ⅣⅣ იზრდება დოფამინის გამოყოფა და ქოლინერგული ნეირონების აქტივობა ზოლიან ბირთვში;

- \\ მცირდება დოფამინის გამოყოფა და იზრდება ქოლინერგული ნეირონების აქტივობა ზოლიან სხეულში;
 - \\ იზრდება ნორადრენალინის გამოყოფა და ნორადრენერგული ნეირონების აქტივობა ლიმბურ სისტემაში;
 - \\ მცირდება სეროტონინის გამოყოფა და სეროტონინერგული ნეირონების აქტივობა ნაკერის ბირთვში.
- \\ \\ \\ ლევოდოპას გვერდითი ეფექტებია:
 - \\ ფსიქიკის შეცვლა პალეოცინაზებით და ფსიქოზის მოვლენებით;
 - \\ გამოხატული ანქსიოლიზური ეფექტი;
 - \\ არტერიული ჰიპერტენზია;
 - \\ საძილე ეფექტი.
- \\ \\ \\ ბრომოკრიპტინი:
 - \\ იწვევს გალაქტორეას;
 - \\ თრგუნავს ჰიპოფიზის მიერ პროლაქტინის გამოყოფას;
 - \\ შეიძლება გააძლიეროს აკრომეგალიის მოვლენები, ვინაიდან აძლიერებს სომატოტროპული ჰორმონის პროდუქციას;
 - \\ არ შეიძლება მისი გამოყენება ჰიპერპროლაქტინემიის დროს.
- \\ \\ \\ ბენზოტროპინის გვერდითი ეფექტებია:
 - \\ ყურადღების კონცენტრაციის და მეხსიერების დარღვევა;
 - \\ სალივაციის გაძლიერება;
 - \\ აკომოდაციის სპაზმი;
 - \\ პერისტალტიკის გაძლიერება.
- \\ \\ \\ შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ მოყვანილ მტკიცებულებებთან დაკავშირებით:
 - \\ ქლორპრომაზინი ნაჩვენებია ლევოდოპათი ჩატარებული მკურნალობისას განვითარებული გულისრევის მოსახსნელად;
 - \\ ვიტამინი B₆ ზრდის ლევოდოპას ეფექტურობას;
 - \\ დოპამინის შეყვანა მეტად ეფექტურია პარკინსონის დაავადების სამკურნალოდ;
 - \\ ლევოდოპათი გამოწვეული გულისრევა მცირდება კარბიდოპათი;
- \\ \\ \\ პარკინსონით დაავადებულ პაციენტებში:
 - \\ ადგილი აქვს ნეოსტრიატუმში დოფამინერგული/ქოლინერგული თანაფარდობის მომატებას;
 - \\ ანტიპარკინსონული პრეპარატების ჭარბი დოზირებისას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფსიქოზის მოვლენებს;
 - \\ ცილებით მდიდარ დიეტას შეუძლია გაზარდოს ლევოდოპას ეფექტი;
 - \\ დისკინეზია ნაკლებად მნიშვნელოვან გვერდით მოვლენას წარმოადგენს ლევოდოპათი ჩატარებული თერაპიისას;
- \\ \\ \\ ნეიროლეფსიურ საშუალებებს მიეკუთვნება შემდეგი ქიმიური შენების ჯგუფები:
 - \\ ფენოთიაზინები;
 - \\ ბენზოდიასეპინები;
 - \\ ციკლოპროლონიები;
 - \\ ბარბიტურატები.
- \\ \\ \\ ალიფატური რიგის ფენოთიაზინებს მიეკუთვნება:
- IIII 45 წლის ქალს აღენიშნება სუპრავენტრიკულური ტაქიკარდიის რეციდივები. იგი წარუმატებლად მკურნალობდა სხვადასხვა ანტიარითმული საშუალებებით და მხოლოდ ამიოდარონის დანიშვნის შემდეგ გახდა შესაძლებელი არითმიის კონტროლი. გაეცით პასუხი ქვემოთ დასმულ კითხვებს: რომელი ფუნქციური ტესტები უნდა განისაზღვროს სისხლში ამიოდარონით მკურნალობის დაწყებამდე?
- II ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური ტესტები, ელექტროლიტების დონე, ღვიძლის ფუნქციური ტესტები;
- III სისხლის საერთო ანალიზი, ლიპიდური სპექტრი;
- III T და B ლიმფოციტებისა და ინტერლეიკინების 2 და 3 დონე;
- III შაქრის რაოდენობა სისხლში.

- IIII თუ პაციენტი დაიწყებდა მკურნალობას ამიოდარონის ჩვეულებრივი შემანარჩუნებელი დოზით, რა პერიოდი დასჭირდებოდა სისხლის პლაზმაში ამ პრეპარატის სტაბილური კონცენტრაციის მიღწევას?
- III 2 დღე;
- III 7 დღე;
- III 30 დღე;
- II 125-500 დღე.

- IIII 55 წლის მამაკაცს ქრონიკული ჰეპატიტით, გადატანილი პულმონური ემბოლიზმით და პარკუჭოვანი ექსტრასისტოლური არითმიით ექიმმა დაუნიშნა ამიოდარონი და ვარფარინი (არაპირდაპირი ანტიკოაგულანტი). მკურნალობიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ პაციენტს განუვითარდა შინაგანი სისხლდენის ნიშნები. ასხენით რა არ გაითვალისწინა ექიმმა და გაეცით პასუხი ქვემოთ დასმულ კითხვებს: ამიოდარონი:
- III ზრდის ვარფარინის კლირენსს;
- III ამცირებს ვარფარინის კონცენტრაციას სისხლში ამ უკანასკნელის მეტაბოლიზმის დაჩქარების გამო;
- II აინჰიბირებს ვარფარინის მეტაბოლიზმს და ზრდის INR-ს (International normalize ratio, საერთაშორისო ნორმირებული კოეფიციენტი);
- III გააჩნია ხანმოკლე ნახევარგამოყოფის პერიოდი და მისი მოხსნიდან 24სთ-ში არ ახასიათებს სხვა წამლებთან ურთიერთქმედება.

- IIII 70 წლის მამაკაცს გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტით, რომელსაც აღენიშნება ვენტრიკულური არითმია, ექიმმა დაუნიშნა დიზოპირამიდი, რის შემდეგაც არითმია კონტროლს დაექვემდებარა, თუმცა პრეპარატით

მკურნალობის გაგრძელების შემდეგ პაციენტს განუვითარდა ქოშინი. გაეცით პასუხი ქვემოთ დასმულ კითხვებს: დიზოპირამიდი:

III მიეკუთვნება II ჯგუფის ანტიარითმულ პრეპარატებს;

III გულზე ხასიათდება უარყოფითი ინოტროპული მოქმედებით, რომელიც განპირობებულია Ca^{2+} -ის ნელი არხების ბლოკადით;

II გულზე ხასიათდება უარყოფითი ინოტროპული ეფექტით, რომელიც განპირობებულია გულის შეკუმშვის ძალის დაქვეითებით;

III არ ხასიათდება ანტიმუსკარინული ეფექტით.

III 58 წლის ქალს ქრონიკული წინაგულოვანი ფიბრილაციის ტაქისისტოლური ფორმით ექიმმა დაუნიშნა ქინიდინი. პრეპარატის მიღებიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ პაციენტს განუვითარდა ძლიერი ბარდიკარდია წინაგულოვანი ფიბრილაციის ტაქისისტოლური ფორმის ბრადისისტოლურში ტრანსფორმაციით, რასაც შემდგომში მოჰყვა მძიმე ტაქიკარდიის აღმოცენება და სიკვდილი. გაეცით პასუხი ქვემოთ დასმულ კითხვებს: ქინიდინი:

III ინტრაკარდიული მოქმედებით ხასიათდება დადებითი დრომოტროპული ეფექტით;

III ექსტრაკარდიული მოქმედებით არ ხასიათდება ანტიქოლინერგული ეფექტით;

II შეუძლია გამოიწვიოს QT ინტერვალის გახანგრძლივება და ნაადრევი კვალოვანი დეპოლარიზაცია;

III ეფექტურია მხოლოდ წინაგულოვანი არითმიების დროს.

III 52 წლის მამაკაცს გადატანილი მიოკარდიუმის ინფარქტით და გულის უკმარისობის მოვლენებით ექიმმა დაუნიშნა მარყუჟოვანი დიურეზული საშუალება – ფუროსემიდი და დიგოქსინი. გულის უკმარისობის სიმპტომების გაუმჯობესების შემდეგ პაციენტს თანდათან განუვითარდა პარკუჭოვანი არითმია, რის შემდეგაც ექიმმა დიგოქსინის და ფუროსემიდის ნაცვლად მას დაუნიშნა სპირინოლაქტონი და აგფ ინჰიბიტორი ენალაპრილი. მას თანდათან მოეხსნა არითმია, თუმცა შემდგომში იგი კვლავ აღმოცენდა ძლიერი ბრადიკარდიის ფონზე. გაეცით პასუხი ქვემოთ დასმულ კითხვებს: დიგოქსინის არითმოგენული მოქმედება იზრდება:

II ჰიპოკალიემიის დროს;

III ჰიპერკალიემიის დროს;

III უჯრედშიდა Ca^{2+} -ის იონების რაოდენობის დაქვეითებისას;

III ჰიპერმაგნიემიის დროს.

III სპირინოლაქტონის და ენალაპრილის ერთდროულად დანიშვნა ხელს უწყობს:

III ნატრიუმის კონცენტრაციის გაზრდას;

III კალციუმის კონცენტრაციის გაზრდას;

III ჰიპოკალიემიას;

II ჰიპერკალიემიას.

III 62 წლის მამაკაცს, რომელსაც ქრონიკული იშემიური დაავადების ფონზე აღენიშნება ვენტრიკულური ტაქიკარდია, ექიმმა დაუნიშნა ვერაპამიდი, რის შემდეგაც პაციენტს განუვითარდა ძლიერი ჰიპოტენზია და პარკუჭთა ფიბრილაცია ლეტალური გამოსავლით. ასხენით ექიმის შეცდომა და გაეცით პასუხი ქვემოთ დასმულ კითხვებს: ვერაპამიდი:

III გამოიყენება პარკუჭოვანი არითმიების დროს;

II გამოიყენება სუპრავენტრიკულური ტაქიკარდიის დროს;

III ხელს უწყობს ატრიოვენტრიკულური გამტარებლობის გაძლიერებას;

III ატრიოვენტრიკულურ კვანძში ამოკლებს რეფრაქტერულ პერიოდს;

III 54 წლის ქალს პარკუჭოვანი ექსტრასისტოლით ექიმმა დაუნიშნა ანტიარითმული საშუალება, რომლის შემდეგაც არითმიის კონტროლი გაუმჯობესდა, თუმცა გარკვეული პერიოდის გავლის შემდეგ პაციენტს განუვითარდა ართრალგიის და ართრიტის მოვლენები, პლევრიტი და ფილტვის პარენქიმის დაზიანების ნიშნები. ქვემოთ ჩამოთვლილი ანტიარითმული საშუალებებიდან რომლისთვისაა დამახასიათებელია მსგავსი გვერდითი მოვლენები?

III ვერაპამიდი;

III დიზოპირამიდი;

II პროკაინამიდი;

III ლიდოკაინი;

III ქვემოთ დასახელებული საშუალებებიდან რომელს იყენებენ ინტრავენურად უპირატესად მიოკარდიუმის ინფარქტის დროს განვითარებული პარკუჭოვანი არითმიის დროს:

III ვერაპამიდი;

III ტოკაინიდი;

III ფლეკაინიდი;

|| ლიდოკაინი.

||| ქვემოთ მოყვანილი მტკიცებულებებიდან რომელია დამახასიათებელი გულის შეგუბებითი უკმარისობისათვის?

- || გულზე პრედატვირთვის გაზრდა;
- ||| გულზე პოსტდატვირთვის შემცირება;
- ||| ცირკულაციაში მყოფი სისხლის მოცულობის შემცირება;
- ||| განდევნის ფრაქციის მომატება;

||| გულის შეგუბებითი უკმარისობის დროს ადგილი აქვს:

- ||| პარკუჭებში დიასტოლური წნევის შემცირებას;
- || პარკუჭებში დიასტოლური წნევის გაზრდას;
- ||| სიმპათიკური ნერვული სისტემის ტონუსის კომპენსატორულ დაქვეითებას;
- ||| პარასიმპათიკური ნერვული სისტემის ტონუსის კომპენსატორულ აქტივაციას;

||| გულის შეგუბებითი უკმარისობისათვის დამახასიათებელია:

- ||| ალდოსტერონის პროდუქციის შემცირება;
- || რენინ-ანგიოტენზინური სისტემის აქტივობის გაზრდა;
- ||| ორგანიზმში ნატრიუმისა და წყლის რაოდენობის შემცირება;
- ||| საბოლოო დიასტოლური წნევის შემცირება;

||| გულის შეგუბებითი უკმარისობისათვის დამახასიათებელია:

- ||| სისხლძარღვთა საერთო პერიფერიული წინააღმდეგობის შემცირება;
- || ორგანიზმიდან კალიუმისა და მაგნიუმის გამოყოფის გაზრდა;
- ||| მიოკარდის მიერ ნორადრენალინის მიტაცების გაზრდა;
- ||| ვენური წნევის შემცირება;

||| გულის შეგუბებითი უკმარისობის სიმპტომების შესამცირებლად საჭიროა:

- || ცირკულაციაში მყოფი სითხის მოცულობის შემცირება;
- || გულზე პოსტდატვირთვის გაზრდა;
- || გულზე პრედატვირთვის გაზრდა;
- ||| ვენური წნევის მომატება;

||| ამილორიდს და ტრიამტერენს იყენებენ:

- ||| ჰიპერალდოსტერონიზმის დროს;
- || ჰიპოკალიემიის დროს, რომელიც განვითარდა თიაზიდური დიურეზულებით მკურნალობის შედეგად;
- ||| თირკმლების მძიმე უკმარისობის დროს;
- ||| გლუკოზის დროს.

||| ქვემოთ ჩამოთვლილი პრეპარატებიდან რომელი საშუალებები მიეკუთვნებიან უპირატესად ვენურ დილატატორებს?

- || ნიტრატები;
- ||| ჰიდრალაზინი;
- ||| ენალაპრილი;
- ||| კაპტოპრილი;

||| ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი საშუალებები მიეკუთვნებიან უპირატესად არტერიულ ვაზოდილატატორებს?

- ||| ნიტრატები;
- ||| კაპტოპრილი;
- ||| ფოზინოპრილი;
- || მინოქსიდილი.

||| ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი საშუალებები მიეკუთვნებიან კომბინირებულ არტერიულ და ვენურ დილატატორებს?

- ||| მინოქსიდილი;
- ||| ჰიდრალაზინი;
- || ლიზინოპრილი;
- ||| ნიტრატები.

- /// ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი საშუალებები მიეკუთვნებიან საგულე გლიკოზიდებს?
 - \\ დიგოქსინი;
 - /// დობუტამინი;
 - /// ამრინონი;
 - /// მილრინონი;

- /// საგულე გლიკოზიდები გულის უკმარისობის დროს ავლენენ:
 - /// დადებით ქრონოტროპულ ეფექტს;
 - \\ დადებით ინოტროპულ ეფექტს;
 - /// დადებით დრომოტროპულ ეფექტს;
 - /// უარყოფით ბათმოტროპულ ეფექტს;

- /// საგულე გლიკოზიდები იწვევენ:
 - /// უარყოფით ბათმოტროპულ ეფექტს;
 - \\ უარყოფით ქრონოტროპულ ეფექტს;
 - /// უარყოფით ინოტროპულ ეფექტს;
 - /// დადებით დრომოტროპულ ეფექტს.

- /// საგულე გლიკოზიდების მოქმედებისას:
 - \\ იზრდება სისტოლის ამპლიტუდა, ხოლო დროში იგი მოკლდება;
 - /// იზრდება სისტოლის ამპლიტუდა, ხოლო დროში იგი ხანგრძლივდება;
 - /// დიასტოლა დროში მცირდება;
 - /// ანტრიოვენტრიკულური გამტარებლობა ძლიერდება;

- /// საგულე გლიკოზიდებით განპირობებული ინოტროპული ეფექტი გულისხმობს:
 - \\ სისტოლის გაძლიერებას;
 - /// ატრიოვენტრიკულური გამტარობის დაქვეითებას;
 - /// გულის კუნთის აგზნებადობის მომატებას;
 - /// გულის რითმის გაიშვიათებას.

- /// საგულე გლიკოზიდებით განპირობებული ქრონოტროპული ეფექტი გულისხმობს:
 - /// ატრიოვენტრიკულური გამტარობის დაქვეითებას;
 - \\ გულის რითმის შენელებას;
 - /// გულის შეკუმშვის ძალის გაძლიერებას;
 - /// გულის კუნთის აგზნებადობის მომატებას.

- /// საგულე გლიკოზიდებით განპირობებული უარყოფითი დრომოტროპული ეფექტი გულისხმობს:
 - /// გულის შეკუმშვის ძალის გაძლიერებას;
 - \\ ატრიოვენტრიკულური გამტარობის შემცირებას;
 - /// გულის რითმის შენელებას;
 - /// გულის კუნთის აგზნებადობის მომატებას.

- /// საგულე გლიკოზიდებს მიეკუთვნება:
 - /// ნიტროპრუსიდი;
 - /// დობუტამინი;
 - \\ დიგოქსინი;
 - /// ბისოპროლოლი;

- /// საგულე გლიკოზიდების ინოტროპული მოქმედების მექანიზმი რეალიზდება:
 - /// სარკოპლაზმური რეტიკულუმიდან Ca²⁺-ის იონების გამოთავისუფლების დათრგუნვით;
 - /// ინტრაცელულურად ცამფ-ის რაოდენობის გაზრდით;
 - /// ინტრაცელულურად ცგმფ-ის რაოდენობის შემცირებით;
 - \\ მემბრანული Na⁺, K⁺ ატფ-ის დათრგუნვით.

- /// საგულე გლიკოზიდები:
 - \\ ზრდიან უჯრედშიდა Na⁺-ის კონცენტრაციას, რაც იწვევს მემბრანული Na⁺/Ca²⁺-ის ტრანსპორტერის ინჰიბირებას და ინტრაცელულურად Ca²⁺-ის იონების დაგროვებას;
 - /// აჩქარებენ კარდიომიოციტების მოსვენების პოტენციალის აღდგენას დეპოლარიზაციის შემდეგ;
 - /// ხელს უწყობენ უჯრედის შიგნით K⁺-იონების, ხოლო უჯრედგარეთ - Na⁺-ის იონების დაგროვებას;

III უჯრედის შიგნით K -იონების, ხოლო უჯრედის გარეთ Na -ის იონების დაგროვებით ხელს უწყობენ დეპოლარიზაციის პროცესს.

IV საგულე გლიკოზიდების ინტროპული მოქმედება ხორციელდება:

III Ca^{2+} -ის ატფ-აზის გააქტივებით;

III Na -ის იონების უჯრედგარეთ გამოსვლით;

II მემბრანული Na /K -ატფ-აზის დათრგუნვით მის ალფა-სუბერთეულთან შეერთების შემდეგ;

III K -იონების უჯრედშიგნით დაგროვებით.

IV საგულე გლიკოზიდები იწვევენ:

III რეპოლარიზაციის ფაზის სინქარის შემცირებას, რაც განპირობებულია უჯრედგარეთ არსებული K -იონების კონცენტრაციის შემცირებით;

II რეპოლარიზაციის ფაზის სინქარის შემცირებას, რაც განპირობებულია უჯრედგარეთ არსებული K -იონების კონცენტრაციის გაზრდით;

III სინუსის კვანძისა და ატრიოვენტრიკულური კვანძის ავტომატიზმის გაძლიერებას;

III ატრიოვენტრიკულური გამტარებლობის გაძლიერებას.

IV თერაპიული დიაბაზონის ფარგლებში საგულე გლიკოზიდები:

II აქვეითებენ სინუსური და ატრიოვენტრიკულური კვანძის ავტომატიზმს და ზრდიან მათ მაქსიმალურ დიასტოლურ პოტენციალს;

III აძლიერებენ სიმპათიკურ და აქვეითებენ პარასიმპათიკურ ტონუსს;

III ამოკლებენ ატრიოვენტრიკულური კვანძის ეფექტურ რეფრაქტერულ პერიოდს;

III აძლიერებენ ატრიოვენტრიკულურ გამტარებლობას.

IV საგულე გლიკოზიდებს შეუძლიათ გულის არითმიის გამოწვევა:

II პურკინის ბოჭკოების ადრეული დეპოლარიზაციით;

III სიმპათიკური ნერვული სისტემის ტონუსის დაქვეითებით;

III მემბრანული Na K -ატფ-აზის გააქტივებით;

III სისხლის შრატში Na -ის კონცენტრაციის შემცირებით.

IV საგულე გლიკოზიდებით გამოწვეული გულის არითმია შეიძლება განპირობებული იყოს:

III სისხლის შრატში Ca^{2+} -ის რაოდენობის შემცირებით;

II სისხლის შრატში K -ის კონცენტრაციის შემცირებით;

III სისხლის შრატში Na -ის კონცენტრაციის დაქვეითებით;

III პრეპარატის ელიმინაციის დაჩქარებით.

IV ქვემოთ მოყვანილი მტკიცებულებებიდან რომელია სწორი?

III დიგოქსინს დიგიტოქსინთან შედარებით უფრო ხანგრძლივი ნახევარგამოყოფის პერიოდი გააჩნია;

III დიგოქსინი ძირითადად ელიმინირდება ნაღველთან ერთად;

II დიგოქსინი ძირითადად გამოიყოფა შარდთან ერთად;

III დიგიტოქსინს არ ახასიათებს ენტეროჰეპატური რეციკულაცია;

IV შეარჩიეთ სწორი პასუხები:

III საგულე გლიკოზიდებს დიდი თერაპიული სივრცე გააჩნიათ;

II საგულე გლიკოზიდებით მოწამვლის პირველი ნიშნებია: ბრადიკარდია, სისუსტე, ძილიანობა, ცნობიერების მოშლა და მხედველობის სიმახვილის დაქვეითება, რასაც შემდგომში თან სდევს ტაქიკარდია;

III დიგოქსინით მოწამვლის სამკურნალოდ არ იყენებენ დიგოქსინის მიმართ სპეციფიკური ანტისხეულების გაწმენდილ ფრაგმენტებს;

III ეფექტური რეფრაქტერული პერიოდის გახანგრძლივებით დიგოქსინი აძლიერებს ატრიოვენტრიკულურ გამტარებლობას;

IV შეარჩიეთ სწორი პასუხები:

II დიგიტოქსინი დიგოქსინთან შედარებით უფრო მაღალი ინტენსივობით უკავშირდება სისხლის პლაზმის ცილებს (ალბუმინებს);

III დიგიტოქსინი დიგოქსინთან შედარებით უფრო სწრაფად იწყებს მოქმედებას;

III დიგიტოქსინის ეფექტი უფრო ხანმოკლეა დიგოქსინთან შედარებით;

III დიურეზული (სალურეზული) საშუალებების ფონზე არ იზრდება საგულე გლიკოზიდების მიღებისას არითმიის განვითარების რისკი;

IV შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ მოყვანილ მტკიცებულებებიდან:

- /// საგულე გლიკოზიდების ეფექტი მცირდება პლაზმაში K⁻ის იონების კონცენტრაციის დაქვეითების დროს;
- \\ მარყუჟზე მოქმედი დიურეზული საშუალებები ამცირებენ გლიკოზიდებით გამოწვეული არითმიის განვითარების შესაძლებლობას;
- /// კალციუმის შემცველი პრეპარატები ამცირებენ დიგოქსინის ინოტროპულ ეფექტს;
- \\ დიგოქსინის მიმართ სპეციფიკურ ანტისხეულებს იყენებენ ამ პრეპარატით სიცოცხლისათვის საშიში მოწამელის დროს;

- /// ქვემოთ ჩამოთვლილი მტკიცებულებებიდან რომელია სწორი საგულე გლიკოზიდებთან მიმართებაში:
- \\ საგულე გლიკოზიდებს იყენებენ გულის უკმარისობის დროს არსებული წინაგულოვანი მოციმციმე არითმიის ტაქსისტოლური ფორმის დროს;
- /// საგულე გლიკოზიდებს იყენებენ გულის უკმარისობის ფონზე მიმდინარე ვენტრიკულური ტაქიკარდიის დროს;
- /// დიგოქსინს იყენებენ გულის უკმარისობის დროს არსებული თირკმლების ფუნქციის გამოხატული დაქვეითების დროს;
- /// საგულე გლიკოზიდები თრგუნავენ ბარორეცეპტორების მგრძობელობას და აქვეითებენ ცთომილი ნერვის ცენტრალურ ტონუსს;

- /// საგულე გლიკოზიდები:
- \\ თერაპიულ დოზებში ზრდიან პარკუჭშიდა წნევის მომატებისა და დაქვეითების მაქსიმალურ სიჩქარეს (dp/dt max და dp/dt min);
- /// ეკგ-ის მხრივ თერაპიულ დოზებში საგულე გლიკოზიდები იწვევენ PQ ინტერვალისა და QT ინტერვალის შემოკლებას;
- /// თრგუნავენ სარკოპლაზმური რეტიკულუმიდან Ca²-ის იონების მობილიზაციას;
- /// ახანგრძლივებენ წინაგულეებში ეფექტურ რეფრაქტერულ პერიოდს.

- /// რა ფარგლებში მერყეობს დიგოქსინის თერაპიული კონცენტრაცია სისხლის პლაზმაში?
- \\ 0,5-2 ნგ/მლ;
- /// 10-25 ნგ/მლ;
- /// 25-30 ნგ/მლ;
- /// 30-35 ნგ/მლ.

- /// მიუთითეთ დიგოქსინის ნახევარგამოყოფის პერიოდი მოზრდილებში ღვიძლის და თირკმლის ნორმალური ფუნქციით:
- /// 10სთ;
- /// 20სთ;
- /// 30სთ;
- \\ 40სთ.

- /// მიუთითეთ დიგოქსინის დღიური დოზა (შემანარჩუნებელი ან ნელი დიგიტალიზაციისას):
- \\ 0,125-0,5მგ;
- /// 0,5-1,0მგ;
- /// 1,0-1,5მგ;
- /// 1,5-2,0მგ.

- /// მიუთითეთ დიგოქსინის დოზა სწრაფი დიგიტალიზაციისას (ყოველ 8 სთ-ში 3-ჯერ დღეში):
- /// 0,75-1,0მგ;
- /// 1,0-1,5მგ;
- /// 1,5-1,75მგ;
- \\ 0,5-0,75მგ.

- /// მიუთითეთ დიგოქსინის ტოქსიკური კონცენტრაციები სისხლის პლაზმაში:
- /// >16გ/მლ;
- /// >1,56გ/მლ;
- /// >1,756გ/მლ;
- \\ >2 ნგ/მლ.

- /// მიუთითეთ დიგიტოქსინის ნახევარგამოყოფის პერიოდი მოზრდილებში თირკმლის და ღვიძლის ნორმალური ფუნქციით:
- \\ 168სთ;
- /// 250სთ;
- /// 275სთ;

III 300სთ.

IV ალნიშნეთ დიგიტოქსინის თერაპიული კონცენტრაციები სისხლის პლაზმაში:

- II 10-25 ნგ/მლ;
- III 30-35 ნგ/მლ;
- III 40-45ნგ/მლ;
- III 50-55 ნგ/მლ.

IV ალნიშნეთ დიგიტოქსინის ტოქსიკური კონცენტრაცია სისხლის პლაზმაში:

- II >35 ნგ/მლ;
- III >45 ნგ/მლ;
- III >55ნგ/მლ;
- III >60 ნგ/მლ.

IV როგორია დიგიტოქსინის დღიური დოზა (შემანარჩუნებელი ან ნელი დიგიტალიზაციისთვის):

- III 0,1-0,4 მგ;
- II 0,05-0,2მგ;
- III 0,2-0,4მგ;
- III 0,4-0,6მგ.

IV რა მექანიზმი უდევს საფუძვლად ამფ-ის ინჰიბიტორების (ენალაპრილი) დადებით მოქმედებას გულის შეგუბებითი უკმარისობის დროს?

- II გულზე პრე- და პოსტდატვირთვის შემცირება;
- III გულის კუნთის ჰიპერტროფიის ხარისხის გაზრდა;
- III ანგიოტენიზური რეცეპტორების ბლოკადა;
- III არტერიების და ვენების ტონუსის მომატება;

IV ამილორიდი და ტრიამტერენი:

- III აძლიერებენ NHCO_3 -ის ექსკრეციას;
- III აძლიერებენ K -ის ექსკრეციას;
- II ამცირებენ K -ის ექსკრეციას;
- III ამცირებენ ამფ ინჰიბიტორებით გამოწვეულ ჰიპერკალიემიის მოვლენებს.

IV როგორი მოქმედება ახასიათებთ აფგ ინჰიბიტორებს სისხლძარღვებზე?

- III აფართოებენ მხოლოდ ვენებს;
- III აფართოებენ მხოლოდ არტერიოლებს;
- II აფართოებენ როგორც ვენებს, ასევე არტერიოლებს;
- III არ მოქმედებენ სისხლძარღვთა ტონუსზე.

IV თიაზიდური შარდმდენი საშუალებები:

- II დისტალური მილაკების სანათურში Na -ის მომატებით ასტიმულირებენ Na -ის გაცვლის პროცესებს K და H , რაც იწვევს მათი ექსკრეციის გაზრდას ჰიპოკალიემიას და მეტაბოლურ ალკალოზს;
- III ამცირებენ Ca^{2+} -ის რეაბსორბციას;
- III იწვევენ ჰიპერკალიემიას;
- III ამცირებენ K -ის სეკრეციას.

IV მარყუჟოვანი დიურეზული საშუალებები:

- II აძლიერებენ Ca^{2+} -ის და Mg^{2+} -ის ექსკრეციას;
- III აძლიერებენ Ca^{2+} -ის და Mg^{2+} -ის რეაბსორბციას;
- III ამცირებენ K -ის ექსკრეციას;
- III ზრდიან NHCO_3 -ის ექსკრეციას.

IV კარბონჰიდრაზას ინჰიბიტორები:

- II აძლიერებენ Na -ის, HCO_3 -ის და H_2O -ს ექსკრეციას;
- III ამცირებენ Na -ის, HCO_3 -ის და H_2O -ს ექსკრეციას;
- III შესაძლებელია ხელი შეუწყონ მეტაბოლური ალკალოზის განვითარებას;
- III ამცირებენ K -ის ექსკრეციას.

IV NYHA-ს (ნიუ-იორკის გულის ასოციაციის) მიერ მოწოდებული გულის უკმარისობის ფუნქციური ჯგუფებიდან რომლის დროს იყენებენ დიურეზულ საშუალებებს?

- /// მხოლოდ I ხარისხის (მსუბუქი) უკმარისობის დროს;
- /// მხოლოდ II ხარისხის უკმარისობის დროს;
- /// მხოლოდ III ხარისხის უკმარისობის დროს;
- \\ ოთხივე ხარისხის უკმარისობის დროს.

//// NYHA-ს მიხედვით არსებული გულის უკმარისობის რომელი ფუნქციური ჯგუფის დროს იყენებენ აგვ ინჰიბიტორებს?

- /// I ხარისხის უკმარისობის დროს;
- /// მხოლოდ II ხარისხის უკმარისობის დროს;
- /// მხოლოდ III ხარისხის უკმარისობის დროს;
- \\ ოთხივე ხარისხის უკმარისობის დროს.

//// ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელს იყენებენ გულის უკმარისობის ნებისმიერი ფუნქციური ჯგუფის დროს თანამსლევი წინაგულოვანი არითმიის ტაქსისტოლური ფორმის დროს?

- /// ენალაპრილი;
- /// ატროპინი;
- /// ფუროსემიდი;
- \\ დიგოქსინი;

//// რა შემთხვევაში იყენებენ ანგიოტენზური რეცეპტორების ანტაგონისტებს გულის უკმარისობის დროს?

- /// I ხარისხის უკმარისობის დროს;
- /// II ხარისხის უკმარისობის დროს;
- /// III ხარისხის უკმარისობის დროს;
- \\ აგვ ინჰიბიტორების გამოყენებისას განვითარებული ძლიერი ხველის და კვინკს შეშუპების დროს.

//// გულის უკმარისობის რომელი ფუნქციური ჯგუფის დროს (NYHA-ს კლასიფიკაციით) იყენებენ ძირითადად ბეტა-ადრენობლოკატორებს?

- /// I ხარისხის უკმარისობა;
- \\ II-III ხარისხის უკმარისობა;
- /// IV ხარისხის უკმარისობა;
- /// ყველა ხარისხის უკმარისობის დროს.

//// ქვემოთ დასახელებული პრეპარატებიდან რომლები მიეკუთვნება ფოსფოდიეფერაზას ინჰიბიტორებს?

- \\ ამრინონი;
- /// ჰიდრალაზინი;
- /// მინოქსიდი;
- /// ენალაპრილი.

//// რა მექანიზმით მოქმედებენ ფოქსფოდიეფერაზას ინჰიბიტორები დადებითად გულის უკმარისობის დროს?

- \\ ხელს უწყობენ მიოკარდში ცამფ-ის დაგროვებას;
- /// ხელს უწყობენ მიოკარდში იტფ3-ის დაგროვებას;
- /// ხელს უწყობენ მიოკარდში დაგ-ის დაგროვებას;
- /// თრგუნავენ მემბრანულ Na , K ატფ-აზას.

//// რა მექანიზმით მოქმედებს კარვედილოლი დადებითად გულის უკმარისობის დროს?

- /// აბლოკირებს მხოლოდ ბეტა-ადრენორეცეპტორებს;
- \\ აბლოკირებს ბეტა და ალფა1 ადრენორეცეპტორებს;
- /// აბლოკირებს ალფა2-ადრენორეცეპტორებს;
- /// ააქტივებს ბეტა1-ადრენორეცეპტორებს.

//// კარვედილოლი:

- /// აფართოებს სისხლძარღვებს და ამცირებს გულზე მხოლოდ პრედატვირთვას;
- /// აფართოებს სისხლძარღვებს და აქვეითებს გულზე მხოლოდ პოსტდატვირთვას;
- \\ აფართოებს სისხლძარღვებს და გულზე ამცირებს ტოლფასოვნად როგორც პრედატვირთვას, ასევე პოსტდატვირთვას;
- /// არ მოქმედებს სისხლძარღვთა ტონუსზე.

//// ქვემოთ ჩამოთვლილი დიურეზული საშუალებების ჯგუფებიდან, რომლები იწვევენ შარდში ელექტროლიტების მითითებულ ცვლილებებს? NaCl(+++), NaHCO₃ (-), K (-):(შენიშვნა: (+) გამოყოფის გაძლიერება, (-) გამოყოფის შემცირება)

- /// მარყუჟოვანი დიურეზული საშუალებები;
- /// თიაზიდები;
- /// კარბონაჰიდრაზას ინჰიბიტორები;
- \\ K -ის შემნახველი საშუალებები.

/// ქვემოთ ჩამოთვლილი დიურეზული საშუალებების ჯგუფებიდან, რომლები იწვევენ შარდში ელექტროლიტების მითითებულ ცვლილებებს? NaCl(++++), NaHCO₃ (+), K (+): (შენიშვნა: (+) გამოყოფის გაძლიერება, (-) გამოყოფის შემცირება)

- /// კარბონაჰიდრაზას ინჰიბიტორები;
- /// მარყუჟოვანი დიურეზული საშუალებები;
- /// თიაზიდები;
- \\ თიაზიდები მარყუჟოვანი დიურეზული საშუალებები;

/// ნიტროგლიცერინის დადებითი მოქმედება გულის მწვავე უკმარისობის დროს განპირობებულია:
 \\ უპირატესად ვენების გაფართოებით და გულზე პრედატვირთვის შემცირებით;
 /// უპირატესად არტერიოლების გაფართოებით და გულზე პოსტდატვირთვის შემცირებით;
 /// ვენებისა და არტერიოლების ტოლფასოვანი რელაქსაციით და გულზე პრე- და პოსტდატვირთვის ერთნაირი შემცირებით;
 /// გულზე მხოლოდ დადებითი ინოტროპული ეფექტით.

/// ნატრიუმის ნიტროპრუსიდის დადებითი მოქმედება გულის მწვავე უკმარისობის დროს განპირობებულია:
 /// უპირატესად ვენების გაფართოებით და გულზე პრედატვირთვის შემცირებით;
 /// უპირატესად არტერიოლების გაფართოებით და გულზე პოსტდატვირთვის შემცირებით;
 \\ ვენებისა და არტერიოლების ტოლფასოვანი რელაქსაციით და გულზე პრე- და პოსტდატვირთვის შემცირებით;
 /// გულზე მხოლოდ დადებითი ინოტროპული ეფექტით.

/// რა მექანიზმი უდევს უპირატესად საფუძვლად გულის მწვავე უკმარისობის დროს დობუტამინის დადებით მოქმედებას?
 \\ ააქტივებს გულში ლოკალიზებულ ბეტა₁-ადრენორეცეპტორებს და ზრდის მიოკარდის ინოტროპიზმს;
 /// აფართოებს ვენებს და ამცირებს გულზე პრედატვირთვას;
 /// აფართოებს არტერიოლებს და ამცირებს გულზე პოსტდატვირთვას;
 /// ამცირებს სისხლძარღვთა საერთო პერიფერიულ წინააღმდეგობას.

/// ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი გამოიყენება კარდიოგენული შოკის დროს?
 /// დიგიტოქსინი;
 /// დიგოქსინი;
 \\ დოფამინი;
 /// ნიტროგლიცერინი.

/// დოფამინი:
 /// აბლოკირებს ბეტა₁-ადრენორეცეპტორებს;
 \\ აფართოებს თირკმლისა და მეზენტერულ სისხლძარღვებს;
 /// ავიწროვებს თირკმლისა და მეზენტერულ სისხლძარღვებს;
 /// არ მოქმედებს თირკმელზე და მეზენტერულ სისხლძარღვებზე.

/// ქვემოთ ჩამოთვლილი დიურეზული საშუალებების ჯგუფებიდან, რომლები იწვევენ შარდში ელექტროლიტების მითითებულ ცვლილებებს? NaCl(++), NaHCO₃ (-), K (+):(შენიშვნა: (+) გამოყოფის გაძლიერება, (-) გამოყოფის შემცირება)

- \\ თიაზიდები;
- /// K -ის შემნახველი საშუალებები;
- /// კარბონაჰიდრაზას ინჰიბიტორები;
- /// მარყუჟოვანი დიურეზული.

/// თიაზიდებთან ახლო მდგომ სულფანილამიდურ ნაწარმებს მიეკუთვნება:
 /// ჰიდროქლოროთიაზიდი;
 /// ქლორთიაზიდი;
 \\ მეტოლაზონი;
 /// ქინეტაზონი;

ⅢⅢ მარყუჟზე მოქმედ დიურეზულ საშუალებებს მიეკუთვნება:

- Ⅱ ეტაკრინის მჟავა;
- Ⅲ მეტოლაზონი;
- Ⅲ ქლორთიაზიდი;
- Ⅲ ინდაპამიდი;

ⅢⅢ კარბონანჰიდრაზას ინჰიბიტორებს მიეკუთვნება:

- Ⅱ აცეტაზოლამიდი;
- Ⅲ ფუროსემიდი;
- Ⅲ ინდაპამიდი;
- Ⅲ ქლორთიაზიდი;

ⅢⅢ ანტიდიურეზული ჰორმონის ანტაგონისტებს იყენებენ:

- Ⅱ ანტიდიურეზული ჰორმონის შეუსაბამო სეკრეციის დროს;
- Ⅲ თირკმლების მწვავე უკმარისობისას;
- Ⅲ გულის უკმარისობის დროს;
- Ⅲ ნეფროგენული უშაქრო დიაბეტის დროს.

ⅢⅢ ოსმოსურ დიურეზულ საშუალებებს მიეკუთვნება:

- Ⅱ მანიტოლი;
- Ⅲ ფუროსემიდი;
- Ⅲ ეტაკრინის მჟავა;
- Ⅲ ტორსემიდი.

ⅢⅢ თიაზიდური დიურეზული საშუალებების მოქმედების მექანიზმია:

- Ⅱ ნეფრონის დისტალური მილაკების საწყისი ნაწილში თრგუნავენ Na და Cl⁻ რეაბსორბციას;
- Ⅲ ჰენლეს მარყუჟის აღმავალ ნაწილის მსხვილ სეგმენტში თრგუნავენ Na და Cl⁻ რეაბსორბციას;
- Ⅲ ამცირებენ Na -ის რეაბსორბციას ციტოპლაზმური რეცეპტორების მიმართ აღდოსტერონთან კონკურენციის გზით;
- Ⅲ ამცირებენ Na -ის რეაბსორბციას თირკმლის პროქსიმალურ მილაკებში CO₂ ჰიდრატაციის პროცესის დათრგუნვით;

ⅢⅢ მარყუჟზე მოქმედი დიურეზული საშუალებები ძირითადად:

- Ⅱ ზრდიან Na და Cl⁻ რეაბსორბციას მარყუჟის აღმავალი ნაწილის მსხვილ სეგმენტში;
- Ⅲ სელექციურად ააქტივებენ აპიკალურ მემბრანაში Na⁺, K⁺, 2Cl⁻ კონტრანსპორტერს და არღვევენ ამ იონების გრანსპორტს;
- Ⅲ ამცირებენ Na რეაბსორბციას პროქსიმალურ მილაკებში, CO₂ ჰიდრატაციის პროცესის დარღვევით;
- Ⅲ ნეფრონის დისტალური მილაკების საწყის ნაწილში თრგუნავენ Na და Cl⁻ რეაბსორბციას

ⅢⅢ ოსმოსური დიურეზული საშუალებები:

- Ⅱ თრგუნავენ წყლის რეაბსორბციას თირკმლის პროქსიმალურ მილაკებში და მარყუჟის დაღმავალ ნაწილში;
- Ⅲ თრგუნავენ Na და Cl⁻ რეაბსორბციას მარყუჟის აღმავალი ნაწილის მსხვილ სეგმენტში;
- Ⅲ ნეფრონის დისტალურ ნაწილში ამცირებენ აპიკალური მემბრანის განვლადობას Na⁺-თვის ნატრიუმის არხების ბლოკირების შედეგად, რაც იწვევს ნატრიუმის ექსკრეციის გაზრდას და K⁺-ის ექსკრეციის შემცირებას;
- Ⅲ ამცირებენ პროქსიმალურ მილაკებში Na⁺-ის რეაბსორბციას, CO₂-ის ჰიდრატაციის პროცესის დათრგუნვით.

ⅢⅢ კარბონანჰიდრაზას ინჰიბიტორები:

- Ⅱ აინჰიბირებენ პროქსიმალურ მილაკებში ბიკარბონატების რეაბსორბციას;
- Ⅲ ნეფრონის მილაკების დისტალურ ნაწილში თრგუნავენ Na და Cl⁻ რეაბსორბციას, რის გამოც ძლიერდება Na⁺-ის, Cl⁻-ის და H₂O-ს გამოყოფა;
- Ⅲ თრგუნავენ წყლის რეაბსორბციას თირკმლის პროქსიმალურ მილაკებში და მარყუჟის დაღმავალ ნაწილში;
- Ⅲ თრგუნავენ Na და Cl⁻ რეაბსორბციას მარყუჟის აღმავალი ნაწილის მსხვილ სეგმენტში.

ⅢⅢ კალიუმის შემნახველი დიურეზული საშუალებები:

- Ⅲ აინჰიბირებენ თირკმლის პროქსიმალურ მილაკებში Na⁺-ის რეაბსორბციას CO₂-ის ჰიდრატაციის პროცესის დათრგუნვით;
- Ⅱ ამცირებენ Na⁺-ის შესვლას შემკრები მილაკების აპიკალური მემბრანის ნატრიუმის სელექციური იონური არხების ბლოკირებით;

- III ამცირებენ ნეფრონის დისტალური მილაკის საწყის ნაწილში Na და Cl რეაბსორბციას;
- III ნეფრონის პროქსიმალურ მილაკებში და მარჯულის დაღმავალ ნაწილში ამცირებენ წყლის რეაბსორბციას;
- III მინერალოკორტიკოიდული რეცეპტორების ანტაგონისტი კალიუმის შემნახველი დიურეზული საშუალებები:
- II ამცირებენ Na -ის რეაბსორბციას ციტოპლაზმური რეცეპტორების მიმართ ალდოსტერონთან კონკურენციის გზით;
- III ამცირებენ Na -ის შესვლას შემკრები მილაკების აპიკალური მემბრანის ნატრიუმის სელექციური იონური არხების ბლოკირებით;
- III ამცირებენ ნეფრონის დისტალური მილაკის საწყის ნაწილში Na და Cl რეაბსორბციას;
- III ამცირებენ პროქსიმალურ მილაკებში Na -ის რეაბსორბციას CO₂-ის ჰიდრატაციის პროცესის დათრგუნვით.
- III ქვემოთ ჩამოთვლილი დიურეზული საშუალებების ჯგუფებიდან, რომლები იწვევენ შარდში ელექტროლიტების მითითებულ ცვლილებებს? NaCl(+), NaHCO₃ (+++), K⁺ (+) (შენიშვნა: (+) – გამოყოფის მომატება; (-) გამოყოფის შემცირება)
- II კარბონანჰიდრაზას ინჰიბიტორები;
- III მარყუჟოვანი დიურეზული საშუალებები;
- III თიაზიდები;
- III მარყუჟოვანი საშუალებები – თიაზიდები;
- III ქვემოთ ჩამოთვლილი დიურეზული საშუალებების ჯგუფებიდან, რომლები იწვევენ შარდში ელექტროლიტების მითითებულ ცვლილებებს? NaCl(+++), NaHCO₃ (-), K (+). (შენიშვნა: (+) – გამოყოფის მომატება; (-) გამოყოფის შემცირება)
- III კარბონანჰიდრაზას ინჰიბიტორები;
- II მარყუჟოვანი დიურეზული საშუალებები;
- III თიაზიდები;
- III K -ის შემნახველი საშუალებები.
- III სტენოკარდიის სამკურნალოდ არ გამოიყენება:
- III ნიტრატები;
- III ბეტა-ადრენორეცეპტორების ანტაგონისტები;
- II ალფა-ადრენორეცეპტორების ანტაგონისტები;
- III კალციუმის ნელი არხების მახლოკირებელი საშუალებები.
- III ბეტა-ადრენორეცეპტორების ანტაგონისტებს (ბეტა-ადრენობლოკატორებს) მიეკუთვნება:
- III ნიფედიპინი;
- III ვერაპამიდი;
- III დილთიაზემი;
- II მეტოპროლოლი.
- III კალციუმის ნელი არხების მახლოკირებელი საშუალებებია:
- III პროპრანოლოლი;
- III ატენოლოლი;
- III ოქსპრენოლოლი;
- II ნიფედიპინი.
- III სტენოკარდიული შეტევის კუპირების მიზნით გამოიყენება:
- II ნიტროგლიცერინი (სუბლინგუური);
- III იზოსორბიდ დინიტრეტი (პერორული);
- III მეტოპროლოლი;
- III დილთიაზემი;
- III ნიტრატები ეფექტურია:
- III მხოლოდ სტაბილური სტენოკარდიის სამკურნალოდ;
- III მხოლოდ ვახოსპასტიური სტენოკარდიის დროს;
- III მხოლოდ არასტაბილური (მოსვენების) სტენოკარდიის დროს;
- II სტენოკარდიის სამივე ფორმის დროს.
- III ნიტროგლიცერინით გამოწვეული პოტენციური არასასურველი ეფექტებია:
- II რეფლექსური ტაქიკარდია და გულის შეკუმშვის ძალის გაძლიერება;
- III მიოკარდიუმის უანგუაღზე მოთხოვნილების დაქვეითება;

- III მიოკარდიუმის პერფუზიის გაზრდა;
- III მიოკარდის დიასტოლური პერფუზიის დროის გახანგრძლივება.

IV ვაზოსპასტიური (ვარიანტული, პრინციპეტალის) სტენოკარდიის დროს ნიტროგლიცერინის დადებითი ეფექტებია:

- II ეპიკარდიული კორონარული არტერიების გლუვი კუნთების რელაქსაცია და კორონაროსპაზმის შემცირება;
- III გულის მუშაობის გაზრდა;
- III პერიფერიული სისხლძარღვების ტონუსის მომატება;
- III თრომბოციტების აგრეგაციის გაძლიერება.

IV არასტაბილური სტენოკარდიის დროს ნიტროგლიცერინის დადებითი ეფექტებია:

- II თრომბოციტების აგრეგაციის დაქვეითება;
- III გულის ჟანგბადზე მოთხოვნილების გაზრდა;
- III გულის მუშაობის გაძლიერება;
- III მარცხენა პარკუჭში დიასტოლური წნევის მომატება.

IV ნიტრატების ვაზოდილატაციური მოქმედების ძირითადი მექანიზმია:

- II უჯრედშიგნით NO-ს წარმოქმნა, გუანილატციკლაზას აქტივაცია და სისხლძარღვთა გლუვი კუნთებში ცGMP-ის (ციკლური გუანოზიმონოფოსფატი) წარმოქმნა, რომელიც ხელს უწყობს ციტოზოლში Ca^{2+} -ის კონცენტრაციის შემცირებას და ამის შედეგად მიოზინის მსუბუქი ჯაჭვების დეფოსფოლირებას და ვაზოდილატაციას (მიოზინის მსუბუქი ჯაჭვების ფოსფოლირება იწვევს აქტინისა და მიოზინის ურთიერთქმედებას და გლუვი კუნთების შეკუმშვას);
- III უჯრედის შიგნით ცGMP-ის დაგროვება, მიოზინის მსუბუქი ჯაჭვების კინაზას ფოსფორირება და უჯრედის შიგნით Ca^{2+} -ის იონების შესვლის დათრგუნვა;
- III უჯრედის შიგნით იტფ3-ის დაგროვება და სისხლძარღვთა გაფართოება;
- III ეფერენტული სიმპათიკური იმპულსაციის დათრგუნვა.

IV ნიტროგლიცერინის გვერდითი ეფექტებია:

- II თავის ტკივილი;
- III არტერიული წნევის მომატება;
- III რეფლექსური ბრადიკარდია;
- III ატრიოვენტრიკულური გამტარებლობის დათრგუნვა;

IV ნიტროგლიცერინი:

- II ხანგრძლივი, ხშირი გამოყენებისას იწვევს მის მიმართ ტოლერანტობის განვითარებას;
- III არ იწვევს მის მიმართ ტოლერანტობის განვითარებას;
- III აცეტილცისტეინი არ მოქმედებს ნიტრატების მიმართ ტოლერანტობის განვითარებაზე;
- III წარმოადგენს ორგანულ ნიტრიტს.

IV სუბლინგვურად მიღებული ნიტროგლიცერინი:

- III მოქმედებას იწყებს 30 წთ-ის შემდეგ;
- III მოქმედების პიკი ვითარდება 2 სთ-ის შემდეგ;
- III ხასიათდება ღვიძლში “პირველი გასვლის” ეფექტით;
- II მოქმედებას იწყებს რამოდენიმე წთ-ში და მისი მოქმედების ხანგრძლივობა 10-30 წთ-ია;

IV კალციუმის ნელი არხების მახლოკირებელი საშუალებები ძირითადად გამოიყენება:

- III სტაბილური (დაძაბვის) სტენოკარდიის დროს;
- III არასტაბილური (მოსვენების) სტენოკარდიის დროს;
- II ვაზოსპასტიური (პრინციპეტალის) სტენოკარდიის დროს;
- III სტენოკარდიის სამივე ფორმის დროს.

IV ვაზოსპასტიური სტენოკარდიის დროს ეფექტურია:

- III მეტოპროლოლი;
- III პროპრანოლოლი;
- II ამლოდიპინი;
- III ბისოპროლოლი;

IV კალციუმის ნელი არხების მახლოკირებელი საშუალებები სტენოკარდიის დროს მოქმედებენ კალციუმის პოტენციალდამოკიდებულ:

- III N-არხებზე;

- /// P-არსებზე;
- /// T-არსებზე;
- \\ L-არსებზე.

//// გულში და სისხლძარღვებში პრევალირებს კალციუმის პოტენციალდამოკიდებული:

- \\ L-არსები;
- /// P-არსები;
- /// N-არსები;
- /// T-არსები.

//// კალციუმის ნელი არსების მახლოკირებელი საშუალებები უპირატესად იწვევენ:

- \\ არტერიოლების გაფართოებას და გულზე პოსტდატვირთვის დაქვეითებას;
- /// ვენების გაფართოებას და გულზე პრედატვირთვის შემცირებას;
- /// ვენების და არტერიოლების ტოლფასოვან გაფართოებას;
- /// ჩონჩხის განივზოლიანი მუსკულატურის ფუნქციის დათრგუნვას.

//// დიფენილალკილამინების ჯგუფის კალციუმის ნელი არსების მახლოკირებელი საშუალებებია:

- /// დილთიაზემი;
- /// ნიკარდიპინი;
- /// ამლოდიპინი;
- \\ ვერაპამილი.

//// ბენზოთიაზეპინების ჯგუფის კალციუმის ნელი არსების მახლოკირებელი საშუალებებია:

- /// ნიფედიპინი;
- /// ვერაპამილი;
- \\ დილთიაზემი;
- /// ფელოდინი;

//// კალციუმის ნელი არსების მახლოკირებელი საშუალებებიდან გულის შეკუმშვის ძალას ყველაზე უფრო აქვეითებს:

- \\ ვერაპამილი;
- /// ნიფედიპინი;
- /// ნიტრენდიპინი;
- /// ნიკარდიპინი;

//// ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი იწვევს არტერიული წნევის დაქვეითებას და ტაქიკარდიას?

- \\ ნიფედიპინი;
- /// ვერაპამილი;
- /// დილთიაზემი;
- /// ატენოლოლი.

//// რომელი ტიპის სტენოკარდიის დროს არიან ყველაზე ეფექტური კალციუმის ნელი არსების მახლოკირებელი საშუალებები?

- /// სტაბილური;
- /// არასტაბილური;
- \\ ვაზოსპასტიური;
- /// ყველა სახის სტენოკარდიის დროს.

//// კალციუმის ქვემოთ ჩამოთვლილი ანტაგონისტებიდან რომელს იყენებენ სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევის შემთხვევაში, რომელიც დაკავშირებულია თავის ტვინის სისხლძარღვების სპაზმთან?

- /// ნიფედიპინი;
- /// დილთიაზემი;
- \\ ნიმოდიპინი;
- /// ნიკარდიპინი.

//// ქვემოთ ჩამოთვლილი კალციუმის ნელი არსების მახლოკირებელი საშუალებებიდან რომელი თრგუნავს ყველაზე მეტად ატრიოვენტრიკულურ გამტარებლობას?

- /// ნიფედიპინი;
- \\ ვერაპამილი;
- /// ნიმოდიპინი;

III ამლოდიპინი.

IV ქვემოთ ჩამოთვლილი კალციუმის ნელი არხების მახლოკირებელი საშუალებებიდან რომელს გააჩნია ყველაზე ხანგრძლივი ნახევარგამოყოფის (T1/2)პერიოდი?

- II ამლოდიპინი;
- III ფელლოდიპინი;
- III ნიფედინი;
- III ვერაპამილი;

IV ქვემოთ ჩამოთვლილი კალციუმის ნელი არხების მახლოკირებელი საშუალებებიდან რომელს გააჩნია ყველაზე ხანმოკლე ნახევარგამოყოფის (T1/2)პერიოდი?

- III ამლოდიპინი;
- III ფელლოდიპინი;
- III ნიტრენდინი;
- II ნიმოდიპინი.

IV ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი მიეკუთვნება ბეტა-ადრენობლოკატორებს?

- III ნისოლდიპინი;
- III იზოსორბიდი;
- II ბისოპროლოლი;
- III დილთიაზემი.

IV ქვემოთ ჩამოთვლილი სტენოკარდიის ტიპებიდან, რომლის მიმდინარეობის გაუარესება შეიძლება გამოიწვიოს ბეტა-ადრენობლოკატორების დანიშვნამ?

- III სტაბილური სტენოკარდია;
- III არასტაბილური სტენოკარდია;
- II ვაზოსპასტიური სტენოკარდია;
- III ყველა სახის სტენოკარდია.

IV სტენოკარდიის დროს ბეტა-ადრენობლოკატორებს იყენებენ, ვინაიდან ისინი იწვევენ:

- III ვაზოდილატაციას;
- III სისხლძარღვთა საერთო პერიფერიული წინააღმდეგობის შემცირებას;
- II მიოკარდიუმის დიასტოლური პერფუზიის გახანგრძლივებას;
- III კორონარული სისხლძარღვების გაფართოებას.

IV სტაბილური სტენოკარდიის დროს ბეტა-ადრენობლოკატორების გამოყენების საფუძველია:

- II ჟანგბადისადმი გულის კუნთის მოთხოვნილების დაქვეითება;
- III ფიზიკური დატვირთვისადმი ტოლერანტობის შემცირება;
- III კორონარული არტერიების გაფართოება;
- III მარცხენა პარკუჭის დიასტოლური მოცულობის გაზრდა.

IV ქვემოთ ჩამოთვლილი ეფექტებიდან ბეტა-ადრენობლოკატორებით გამოწვეული რომელი ეფექტია სასურველი სტაბილური სტენოკარდიის დროს?

- III მარცხენა პარკუჭის საბოლოო დიასტოლური წნევის მომატება;
- III მარცხენა პარკუჭის დიასტოლური მოცულობის გაზრდა;
- II მიოკარდიუმის დიასტოლური პერფუზიის ხანგრძლივობის გაზრდა;
- III სისხლძარღვთა საერთო პერიფერიული წინააღმდეგობის მომატება.

IV რომელი ტიპის სტენოკარდიის დროს იყენებენ უპირატესად ანტიაგრეგანტულ (თრომბოციტების აგრეგაციის შემამცირებელ) საშუალებებს?

- III სტაბილური სტენოკარდია;
- II არასტაბილური სტენოკარდია;
- III ვაზოსპასტიური სტენოკარდია;
- III ყველა სახის სტენოკარდია.

IV ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელს იყენებენ ანტიაგრეგანტის სახით?

- II ასპირინი (მცირე დოზით);
- III ნიფედინი;
- III დილთიაზემი;
- III ფელლოდიპინი.

- /// პირველადი ჰიპერლიპიდემია გამოწვეულია:
 - \\ გენეტიკური და გარემო ფაქტორების კომბინაციით;
 - /// შაქრიანი დიაბეტით;
 - /// ალკოჰოლის ჭარბი მოხმარებით;
 - /// პირველადი ბილიარული ციროზით.

- /// ქვემოთ ჩამოთვლილი ლიპოპროტეიდებიდან (ლპ) რომელი მიეკუთვნება ანტიათეროგენულს?
 - /// დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდები;
 - /// შუალედური სიმკვრივის ლიპოპროტეიდები;
 - /// ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდები;
 - \\ მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდები.

- /// ანიონცვლად ფისებს მიეკუთვნება:
 - \\ ქოლესტირამინი;
 - /// სიმვასტატინი;
 - /// გემფიბროზილი;
 - /// ბენზაფიბრატი;

- /// 3-ჰიდროქსი-3-მეთილგლუტარულ-კოფერმენტი A-ს ინჰიბიტორებია:
 - \\ პრავასტატინი;
 - /// კოლესტიპოლი;
 - /// ნიკოტინის მჟავა;
 - /// ბენზაფიბრატი;

- /// ფიბრატებს მიეკუთვნება:
 - /// ფლუვასტატინი;
 - /// სიმვასტატინი;
 - \\ გემფიბროზილი;
 - /// ნიკოტინის მჟავა;

- /// სტატინების მოქმედების მექანიზმია:
 - \\ აინჰიბირებენ 3-ჰიდროქსი-3-მეთილგლუტარულ-კოფერმენტი A (ჰმგ-კოა) რედუქტაზას;
 - /// აძლიერებენ ორგანიზმიდან ნაღვლის მჟავების გამოყოფას;
 - /// აძლიერებენ ნაწლავიდან ქოლესტერინის შეწოვას;
 - /// ასტიმულირებენ ლიპოპროტეინლიპაზას და ამცირებენ სისხლში ტრიგლიცერიდების რაოდენობას.

- /// ანიონცვლადი ფისები:
 - \\ ზრდიან ორგანიზმიდან ნაღვლის მჟავების გამოყოფას;
 - /// ამცირებენ ჰმგ-კოA რედუქტაზას აქტივობას;
 - /// ადვილად შეიწოვებიან კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან;
 - /// ღვიძლში ამცირებენ დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების რეცეპტორების რიცხვს.

- /// ნიკოტინის მჟავა:
 - \\ თრგუნავს ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების სინთეზს და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების პროდუქციას;
 - /// ზრდის ორგანიზმიდან ნაღვლის მჟავების გამოყოფას;
 - /// ზრდის სისხლში ცირკულირებული ფიბრინოგენის ოდენობას;
 - /// არ ცვლის სისხლში ტრიგლიცერიდების რაოდენობას.

- /// ფიბრატები:
 - \\ ასტიმულირებენ ლიპოპროტეინლიპაზას;
 - /// არ მოქმედებენ სისხლში ტრიგლიცერიდების რაოდენობაზე;
 - /// სისხლში ამცირებენ მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების რაოდენობას;
 - /// სისხლში ზრდიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების რაოდენობას.

- /// გემფიბროზილი მიეკუთვნება:
 - /// იონთაცვლად ფისებს;
 - \\ ფიბრატებს;
 - /// ნიკოტინის მჟავას მარილს;

III კმგ-კოA-რედუქტაზას ინჰიბიტორებს.

IV ტიპი I-ოჯახური ჰიპერქილომიკრონემია:

- III ასოცირებულია გულის კორონარული დაავადების სიხშირის ზრდასთან;
- II არ ექვემდებარება ჰიპერლიპიდემიის საწინააღმდეგო პრეპარატებით მკურნალობას;
- III ხასიათდება ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეინების რაოდენობის დაქვეითებით;
- III დიეტა საჭიროებს ნახშირწყლების შეზღუდვას.

IV ტიპი II A-ოჯახური ჰიპერბეტალიპოპროტეინემია:

- II ხასიათდება დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების დონის მომატებით და ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების ნორმალური დონით;
- III ხასიათდება შრატისმიერი ქოლესტერინის დაქვეითებით და ტრიგლიცერიდების რაოდენობის მომატებით;
- III მკურნალობენ იონთაცვლადი ფისებით;
- III ხასიათდება დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების რეცეპტორების რიცხვის გაზრდით.

IV ტიპი II-B –ოჯახური კომბინირებული (შერეული) ჰიპერლიპიდემია:

- II წააგავს ტიპი-II-A;
- III დამახასიათებელია ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების ნორმალური დონე;
- III შრატისმიერი ტრიგლიცერიდების და ქოლესტერინის დონე დაქვეითებულია;
- III მკურნალობა მკვეთრად განსხვავდება ტიპი II-A-გან.

IV ტიპი III –ოჯახური დისბეტალიპოპროტეინემია:

- III ტრიგლიცერიდების და ქოლესტერინის დონე დაქვეითებულია;
- II დამახასიათებელია შუალედური სიმკვრივის ლიპოპროტეიდების შეუთვისებლობა ან ჭარბი პროდუქცია;
- III მკურნალობენ იონთაცვლადი ფისებით;
- III არ ასოცირდება კორონარული დაავადების სიხშირის გაზრდასთან.

IV ტიპი IV –ოჯახური ჰიპერტრიგლიცერიდემია:

- II დამახასიათებელია ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების მომატება და დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების ნორმალური ან დაქვეითებული დონე;
- III ადგილი აქვს ქოლესტერინის რაოდენობის შემცირებას;
- III მკურნალობა არ მოიცავს ფიბრატებს ან სტატინებს;
- III არ საჭიროებს საერთოდ მედიკამენტოზურ მკურნალობას.

IV ტიპი V –ოჯახური შერეული ჰიპერტრიგლიცერიდემია:

- II ხასიათდება შრატში ქილომიკრონების და ძალიან დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების დონის მომატებით;
- III დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების რაოდენობა იზრდება;
- III არ არის მნიშვნელოვანი წონის დაკლება;
- III არ ექვემდებარება პრეპარატებით მკურნალობას.

IV სტატინები:

- II გვერდითი ეფექტის სახით ვლინდება მიოპათია;
- III შესაძლებელია მათი გამოყენება ორსულობის დროს;
- III არ საჭიროებენ დოზის კორექციას ღვიძლის დაავადებების დროს;
- III არ შეიწოვება კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან.

IV ფიბრატები:

- II გვერდითი ეფექტის სახით შეუძლიათ გამოიწვიონ მიოზიტის მაგვარი სინდრომი;
- III მათი სტატინებთან კომბინირება არ ზრდის გვერდითი ეფექტების რისკს;
- III მათი წარმომადგენელი გემფიბროზილი ამცირებს ანტიკოაგულანტების ეფექტს;
- III შესაძლებელია მისი დანიშვნა ღვიძლის და თირკმლის უკმარისობის დროს.

IV იონთა ცვლადი ფისები:

- III ადვილად შეიწოვება კუჭ-ნაწლავის ტრაქტიდან;
- II გვერდითი ეფექტებია – დისპეფსია, დიარეა ან ყაბზობა;
- III არ შეიძლება მათი კომბინირება ნიკოტინის მუავასთან;
- III არ შეიძლება მათი გამოყენება საგულე გლიკოზიდებით ინტოქსიკაციის დროს.

IV ქვემოთ ჩამოთვლილი მდგომარეობებიდან რომელია დამახასიათებელია გვერდითი ეფექტების სახით ანტიჰიპერლიპიდემიური პრეპარატებით თერაპიის ჩატარებისას?

- /// არტერიული წნევის მომატება;
- \\ გასტროინტესტინური დარღვევები;
- /// ნევროლოგიური პრობლემები;
- /// გულის ფრიალი;

//// ქვემოთ ჩამოთვლილი ჰიპერლიპიდემიებიდან რომელს ახასიათებს პლაზმაში ქილომიკრონების მომატებული დონე, რომელიც არ ექვემდებარება წამლებით მკურნალობას ლიპოპროტეინების რაოდენობის დაქვეითების თვალსაზრისით?

- \\ ტიპი I;
- /// ტიპი II;
- /// ტიპი III;
- /// ტიპი IV;

//// ქვემოთ ჩამოთვლილი პრეპარატებიდან რომელი აქვეითებს ქოლესტერინის სინთეზს ფერმენტ 3-ჰიდროქსი-3-მეთილგლუტარულ-კოA რედუქტაზას ინჰიბირებით?

- /// კოლესტიპოლი;
- /// ნიკოტინის მჟავა;
- /// ქოლესტირამინი;
- \\ ლოვასტატინი;

//// ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი უკავშირდება ნაწლავში ნადღლის მჟავებს და ხელს უშლის მათ ღვიძლში დაბრუნებას ენტეროჰეპატური ცირკულაციის მეშვეობით?

- /// ნიკოტინის მჟავა;
- /// კლოფიბრატი;
- \\ ქოლესტირამინი;
- /// პრობუკოლი;

//// ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი აქვეითებს პლაზმაში ტრიგლიცერიდების დონეს ლიპოპროტეინ ლიპაზას აქტივობის მომატებით:

- /// ნიკოტინის მჟავა;
- \\ კლოფიბრატი;
- /// ქოლესტირამინი;
- /// პრობუკოლი;

//// ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი აქვეითებს ღვიძლში ტრიაცილგლიცეროლის სინთეზს თავისუფალი ცხიმოვანი მჟავების ლიმიტირებით, რომლებიც საჭიროა ამ გზის განსახორციელებლად?

- \\ ნიაცინი;
- /// კლოფიბრატი;
- /// ქოლესტირამინი;
- /// პრობუკოლი;

//// ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი აინჰიბირებს 3-ჰიდროქსი-3-მეთილგლუტარულ-კოენზიმ-A-რედუქტაზას, ქოლესტერინის სინთეზის სინქარის მაღლიმიტირებელ საფეხურს?

- /// ნიკოტინის მჟავა;
- /// ბენზაფიბრატი;
- /// კოლესტიპოლი;
- \\ მევასტატინი.

//// სისხლის შედედების საწინააღმდეგო საშუალებებს მიეკუთვნება:

- \\ ანტიაგრეგანტები;
- /// ანტიფიბრინოლიზური საშუალებები;
- /// ფიბრინოლიზის ინჰიბიტორები;
- /// ანემიის საწინააღმდეგო საშუალებები.

//// პირდაპირი მოქმედების ანტიკოაგულანტებია:

- \\ ჰეპარინი;
- /// ვარფარინი;
- /// ტიკლოპიდინი;
- /// დიპირამიდოლი;

//// დაბალმოლეკულურ (ფრაქციულ) ჰეპარინებს მიეკუთვნება:

/// ჰეპარინ ნატრიუმი;

/// ჰეპარინ კალციუმი;

\\ ენოქსაპარინი;

/// პროტამინი

//// არაპირდაპირი ანტიკოაგულანტებია:

\\ ვარფარინი;

/// დალტეპარინი;

/// პროტამინი;

/// სტრეპტოკინაზა;

//// ანტიაგრეგაციულ საშუალებებს მიეკუთვნება:

\\ დიპირიდამოლი;

/// ფიტონადიონი;

/// ენოქსაპარინი;

/// ტრანექსამის მჟავა;

//// ფიბრინოლიზურ საშუალებებს მიეკუთვნება:

/// პროტამინი;

\\ სტრეპტოკინაზა;

/// ვარფარინი;

/// ფიტონადიონი.

//// ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომლები მიეკუთვნება ფიბრინოლიზურ საშუალებებს:

\\ ანისტრეპლაზა;

/// ტრანექსამის მჟავა;

/// ამინოკაპრონის მჟავა;

/// დალტეპარინი.

//// ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომლები ავლენენ შედეგების საწინააღმდეგო აქტივობას მხოლოდ in vivo?

/// ჰეპარინი;

/// ენოქსაპარინი;

/// დალტეპარინი;

\\ ვარფარინი.

//// ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომლები ავლენენ ანტიკოაგულაციური ეფექტს როგორც in vivo ასევე in vitro?

\\ ჰეპარინი;

/// დიპირიდამოლი;

/// ვარფარინი;

/// ტიკლოპიდინი.

//// ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომლები გამოიყენება მხოლოდ პარენტერულად?

\\ ენოქსაპარინი;

/// ტიკლოპიდინი;

/// ვარფარინი;

/// დიპირიდამოლი.

//// ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომლები გამოიყენება მხოლოდ პერორულად?

\\ ვარფარინი;

/// ტრანექსამის მჟავა;

/// სტრეპტოკინაზა;

/// ანისტრეპლაზა;

//// ჰეპარინის ანტიკოაგულაციური მოქმედების მექანიზმია:

\\ უკავშირდება ანთრომბინ III-ს და ხელს უწყობს ფერმენტ თრომბინის ინაქტივაციას (ფაქტორი IIa);

/// აინჰიბირებს გლუტამინის მჟავის ვიტამინ-K დამოკიდებულ γ -კარბოქსილირებას;

/// უკავშირდება პლაზმინოგენს, წარმოქმნის მასთან აქტიურ კომპლექსს და გადაჰყავს იგი პლაზმინად;

III თრგუნავს თრომბოქსან-A₂-ის წარმოქმნას.

IIII ჰეპარინის ანტიკოაგულაციური ეფექტის რეალიზაციისას ითრგუნება შედეგების ფაქტორები:

II IIa, VIIa, IXa, Xa;

III III, VIII, XIII;

III II, XI, XIII;

III I, II, V, XIII.

IIII ჰეპარინის მოლეკულური წონა შეადგენს:

II 5000-15000;

III 15000-20000;

III 20000-30000;

III 30000-40000.

IIII მაღალმოლეკულური ჰეპარინის ანტიკოაგულაციური ეფექტის ხანგრძლივობა შეადგენს:

II 4-6სთ;

III 10-12სთ;

III 12-14სთ;

III 14-16სთ.

IIII ქვემოთ ჩამოთვლილი საშუალებებიდან რომელი მიეკუთვნება ჰეპარინის ანტაგონისტს:

III ტრანექსამის მუავა;

III ამინოკაპრონის მუავა;

II პროტამინ სულფატი;

III ფიტონადიონი.

IIII ჰეპარინის გვერდითი ეფექტებია:

II სისხლდენა, თრომბოციტოპენია, ალერგიული რეაქციები;

III კუჭისა და 12-გოჯა ნაწლავის წყლული;

III მიოკარდიტი;

III პლევრიტი.

IIII ქვემოთ დასახელებული გვერდითი ეფექტებიდან რომელი არ არის დამახასიათებელი ჰეპარინისათვის?

III ალოპეცია;

III პარადოქსული თრომბოემბოლია;

III ოსტეოპოროზი და სპონტანური მოტეხილობები;

II ჭარბთმინანობა.

IIII ჰეპარინი გამოიყენება:

III არტერიული თრომბოზის პრევენციისა და მკურნალობისთვის;

II ვენური თრომბოზის პროფილაქტიკისა და მკურნალობის მიზნით;

III ფიბრინოლიზური (თრომბოლიზური) საშუალების სახით;

III ანტიაგრეგანტის სახით.

IIII დაბალმოლეკულური (ფრაქციული) ჰეპარინები:

II აძლიერებენ ანტითრომბინ III-ის მოქმედებას Xa ფაქტორზე;

III აძლიერებენ ანტითრომბინ III-ის მოქმედებას IIa ფაქტორზე;

III აძლიერებენ ანტითრომბინ III-ის მოქმედებას როგორც Xa, ასევე IIa ფაქტორებზე;

III არ აძლიერებენ ანტითრომბინ III-ის მოქმედებას Xa და IIa შედეგების ფაქტორებზე;

IIII დაბალმოლეკულური ჰეპარინის – ენოქსაპარინის მოლეკულური წონა მერყეობს:

II 2000-6000-მდე;

III 6000-12000-მდე;

III 12000-14000-მდე;

III 14000-15000-მდე.

IIII დაბალმოლეკულური ჰეპარინები:

III მაღალმოლეკულური ჰეპარინების ტოლფასი ნახევარელიმინაციის პერიოდი გააჩნიათ;

II მათი კანქვეშა მიღება ისეთივე ეფექტურობით ხასიათდება, როგორც მაღალმოლეკულური ჰეპარინები;

III მაღალმოლეკულურ ჰეპარინებზე უფრო ხანმოკლე ნახევარელიმინაციის პერიოდი გააჩნიათ;

- III უფრო ხშირად შეეყვანას საჭიროებენ.
- IVII ჰეპარინის ჭარბი ანტიკოაგულაციური ეფექტისას მის ყოველ 100 ერთეულზე პროტამინ სულფატი შეჰყავთ:
 - III 50მგ;
 - III 25 მგ;
 - III 15მგ;
 - II 1მგ.
- IVII ვარფარინი:
 - II მოქმედებს in vivo;
 - III მოქმედებს in vitro;
 - III ხანმოკლე ეფექტი გააჩნია;
 - III მოქმედების ხანმოკლე ლატენტიური პერიოდით ხასიათდება.
- IVII ვარფარინი მიეკუთვნება:
 - III პირდაპირად მოქმედ ანტიკოაგულაციურ საშუალებებს;
 - II არაპირდაპირად მოქმედ ანტიკოაგულაციურ საშუალებებს;
 - III ფიბრინოლიზურ საშუალებებს;
 - III ანტიაგრეგანტებს.
- IVII ვარფარინი:
 - II თრგუნავს II, VII, IX, X შედედების ფაქტორების ვიტამინ K-დამოკიდებული გლუტამინური ნარჩენების γ-კარბოქსილირებას;
 - III მისი ანტიკოაგულაციური ეფექტი ვლინდება 2-4სთ-ის შემდეგ;
 - III ნახევარელიმინაციის პერიოდი 6-8სთ-ია;
 - III მისი მოხსნის შემდეგ ანტიკოაგულაციური ეფექტი სწრაფად ქრება.
- IVII ვარფარინის მოქმედებას ღვიძლის მიკროსომული ფერმენტების აქტივობის დათრგუნვის გამო აძლიერებენ:
 - II ციმეტინი (H₂-პოსტამინური რეცეპტორების ბლოკატორი);
 - III კარბამაზეპინი;
 - III ბარბიტურატები (მაგ. ფენობარბიტალი;
 - III რიფამპინი;
- IVII ვარფარინის ანტიკოაგულაციურ მოქმედებას ასუსტებენ:
 - III მეტრონიდაზოლი;
 - II ფენობარბიტალი;
 - III ეთანოლი;
 - III ამიოდარონი.
- IVII ვარფარინის ჭარბ ანტიკოაგულაციურ ეფექტს ამცირებენ:
 - II ფიტონადიონი (ვიტამინი K₁);
 - III ვიტამინი PP;
 - III ვიტამინის B₂;
 - III პროტამინ სულფატი.
- IVII ვარფარინი კლინიკურ პრაქტიკაში გამოიყენება:
 - III არტერიული თრომბოზის პროფილაქტიკისათვის;
 - II ვენური თრომბოზის პრევენციისათვის;
 - III ანტიაგრეგაციული საშუალების სახით;
 - III ფიბრინოლიზური საშუალების სახით.
- IVII ვარფარინით შემანარჩუნებელი თერაპიისას პროთრომბინის დროს ზრდიან ღონემდე, რომელიც შეადგენს ნორმალური აქტივობის:
 - II 25%-ს;
 - III 50%-ს;
 - III 20%-ს;
 - III 75%-ს.
- IVII საერთაშორისო ნორმალიზებული თანაფარდობა INR (International Normalized Ratio) წარმოადგენს:
 - III პერორული ანტიკოაგულანტების საშუალო დოზას;

- III მინიმალურ ეფექტურ დოზას;
- III მაქსიმალურ ეფექტურ დოზას;
- II თერაპიულ დიაპაზონს.

III საერთაშორისო ნორმალიზებული თანაფარდობა საჭიროებს ვარფარინის დოზის კორექციას, რომლის დროს INR მიაღწევს:

- III 4,5-6,0;
- III 2-3;
- III 1-2;
- II 2,5-3,5

III შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:

- III ვარფარინის დოზას ამცირებენ, როდესაც პროთრომბინის დრო ნორმალური აქტივობის 40%-ის ტოლია;
- II INR (საერთაშორისო ნორმალიზებული თანაფარდობა) წარმოადგენს ავადმყოფის პროთრომბინის დროის შეფარდებას საკონტროლო მონაცემებთან;
- III ვარფარინით მკურნალობას იწყებენ მისი დარტყმითი დოზების გამოყენებით;
- III ვარფარინს არ იყენებენ ღრმა ვენების თრომბოზის, წინაგულოვანი ფიბრილაციის და გულის ხელოვნური სარქველების მქონე პაციენტებში.

III შეარჩიეთ მცდარი პასუხი:

- II ტიკლოპიდინი და კლოპიდოგრელი ფიბრინოლიზური საშუალებებია;
- III ტიკლოპიდინი და კლოპიდოგრელი ანტიაგრეგანტული საშუალებებია;
- III ტიკლოპიდინი თრგუნავს ადფ-დამოკიდებულ აგრეგაციას;
- III გვერდითი ეფექტის სახით ტიკლოპიდინი იწვევს სისხლის დისკრაზიას (განსაკუთრებით ნეიტროპენიას);

III თრომბოქსინი A₂:

- II ურთიერთქმედებს თრომბოციტების მემბრანაზე ლოკალიზებულ რეცეპტორებზე და ააქტივებს ფოსფოლიპაზა "C"-ს;
- III ამცირებს იტფ-ის წარმოქმნას;
- III აქვეითებს Ca²⁺-ის უჯრედშიდა რაოდენობას;
- III აინჰიბირებს ციკლოოქსიგენაზას აქტივობას.

III პროსტაგლანდინი I₂ (პროსტაციკლინი):

- II გამოიშუშავდება სისხლძარღვთა ენდოთელიუმში;
- III წარმოადგენს თრომბოქსანის სინერგისტს;
- III თრგუნავს თრომბოციტების მემბრანაზე თანამოსახელე რეცეპტორებს, უჯრედებში ამცირებს ცამფ-ის რაოდენობას;
- III ზრდის უჯრედშიდა Ca²⁺-ის რაოდენობას და თრომბოციტების აგრეგაციას.

III ასპირინი:

- III შექცევადად აინჰიბირებს ციკლოოქსიგენაზას და ამცირებს თრომბოქსან A₂-ის (TXA₂) წარმოქმნას;
- II შეუქცევადად აინჰიბირებს ცოგ-ას და ამცირებს TXA₂-ის წარმოქმნას;
- III პროსტაციკლინთან შედარებით იწვევს TXA₂-ის რაოდენობის უფრო ხანმოკლე დაქვეითებას;
- III ანტიაგრეგანტის სახით გამოიყენება მაღალი დოზებით.

III შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:

- III ასპირინი არ მოქმედებს პროსტაციკლინის სინთეზზე ენდოთელიუმის უჯრედებში;
- II ასპირინი ამცირებს განმეორებითი მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების რისკს;
- III სტენოკარდიისა და მიოკარდიუმის ინფარქტის დროს არ შეიძლება ასპირინის კომბინირება ბეტა-ბლოკატორებთან და Ca²⁺-ის ნელი არხების მახლოკირებელ საშუალებებთან;
- III სტენოკარდიის დროს გამოყენებისას ასპირინი ხელს უწყობს დიპირიდამოლის მსგავსი "მოპარვის ფენომენის" განვითარებას.

III ფიბრინოლიზური საშუალებები:

- II გამოიყენება თრომბოლიზური თერაპიის მიზნით;
- III განსაკუთრებით ეფექტურნი არიან მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარებიდან 24სთ-ის შემდეგ;
- III არ შეიძლება მათი კომბინირება ასპირინთან ერთად მიოკარდიუმის ინფარქტის დროს;
- III სტრეპტოკინაზა, უროკინაზა და პლაზმინოგენის ქსოვილოვანი აქტივატორი თანაბრად უწყობენ ხელს პლაზმინოგენის ფიბრინთან შეკავშირებას.

- /// შეარჩიეთ სწორი პასუხები ქვემოთ დასმულ კითხვებზე:
- \\ ფიბრინოლიზური საშუალებები ხელს უწყობენ პლაზმინოგენის (პროფიბრინოლიზინის) პლაზმინად გარდაქმნას;
- /// ადგ და კოლაგენი ამცირებენ თრომბოციტების აგრეგაციას;
